

# ახალი განათლება

5 - 11 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№33 (707) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


## საზოგადოების ჩაკეტილობას სკოლის ასაკიდან უნდა ვებრძოლოთ

გვერდი 4

**„აგ სტუმარი“ ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის, ვფიქრობ, ერთ-ერთი საინტერესო რუბრიკაა. ვცდილობთ, მათი ცნობისმოყვარეობა ცნობილ, საინტერესო ადამიანებთან ინტერვიუებით დავაკმაყოფილოთ. დღევანდელი ნომრის სტუმარი მინდა განსაკუთრებულად წარვადგინო – ის ჩემი, უფრო სწორად, რედაქციის განსაკუთრებული რესპოდენტია, რადგან გაზეთმა სწორედ მისი თაოსნობით დაიწყო გამოსვლა და დღემდე იმ წამოწყების ერთგულ გამგრძელებლად დარჩა, რაც ჩვენი პერიოდიკის ყველაზე ღირებული მონაპოვარია – მაქსიმალური კორექტულობა და სანდო ინფორმაცია, რომელიც არც ერთ გადაუმოწმებელ და არაზუსტ ფაქტს არ შეიცავს. გარდა ამისა, პაატას დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, დღემდე, ჩემთვის საუკეთესო მაგალითია, როგორ შეიძლება იყოს ადამიანი, ერთდროულად, უფროსიც და მეგობარიც. მახსენდება „პირველი ნაბიჯები“, როცა გაზეთში სტატიების წერა დავიწყე, როგორ მასწავლიდა და ჩემთან ერთად როგორ ცდილობდა, ყოველი შემდეგი უკეთესი ყოფილიყო (ვცდილობ, სუბიექტური არ ვიყო, მაგრამ, ალბათ, არ გამომდის). ჩვენი სტუმარია, გაზეთ „24 საათის“ გამომცემელ-რედაქტორი პაატა ვეშაპიძე, რომელიც 17 წლის შემდეგ, ჩვენი გაზეთის მკითხველს არა „რედაქტორის სვეტით“, არამედ სტუმრის სტატუსით დავუბრუნე.**

**ინტერვიუსთვის წინასწარ არც ერთი კითხვა არ მომიმზადებია. რესპონდენტს მივენდე, რადგან ჩვენი საუბრის წინასწარ დაწერილი კითხვებით წარმართვა ცოტა მეუხერხულებოდა, ცოტაც მეშინოდა. თუმცა, ერთი რამ ვიცი, რომ გაზეთის სპეციფიკიდან და მისი 14-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობიდან გამომდინარე, სკოლასა და მასწავლებელზე საუბარს ვერ ავცდებით.**

**– დავიწყოთ თქვენი მასწავლებლობით, რატომ წახვედით სკოლაში?**

– მასწავლებელი, შეიძლება ითქვას, შემთხვევით გავხდი, უფრო სწორად, ჩემი მასწავლებლობა შემთხვევამ განაპირობა. ასეთი სახალისო ისტორიაა – მეორე წელი იყო, რაც, გურამ რამიშვილის პროექტით, ე.წ გერმანული სკოლა გაიხსნა, სადაც, ენების შესწავლისადმი აბსოლუტურად სხვა მიდგომა იყო – კულტუროლოგიურ, ჰუმბოლტისეულ თეორიას ემყარებოდა. ამ სკოლაში რამდენიმე ჩემი მეგობარი წავიდა მასწავლებლად, მე გამომცემლობა „განათლებაში“ ვმუშაობდი. 5 სექტემბერს, ერთ-ერთი მეგობრის დაბადების დღეა. მაშინ სკოლა ბროსეს ქუჩაზე იყო და გავუარე მათ, რომ დაბადების დღეზე ერთად წავსულიყავით. სკოლაში იმ დროს მივედი, როცა პირველკლასელებთან ბოლო გაკვეთილი ტარდებოდა (მთელი სკოლა მეორე ცვლაში იყო). მთხოვეს, რომელიღაც მასწავლებელი არ არის, ბავშვები ხმაურობენ და ვიდრე მშობლები მოაკითხავენ, იქნებ შეხვიდე მათთან, რამე მოუყევი და გააჩერეო. ასე შევედი კლასში ბავშვების გასაჩერებლად, მაგრამ ისე დაირეკა გაკვეთილის დამთავრების ზარი, რომ ვერც გავიგეთ, გადავაცილეთ 15-20 წუთი. ახლაც მახსოვს ის საკლასო ოთახი, მშობლები აღშფოთებულები შემოიჭრნენ, სად არიან ჩვენი შვილებიო. ასეთი სურათი დახვდათ – მე ფანჯრის რაფაზე ვარ ჩამომჯდარი და გაცხოველებით ვმსჯელობთ ცხოველებისა და ადამიანების მეგობრობის თემაზე. მაშინ სკოლის დირექტორი მიხეილ მინდაძე იყო. ისე მშვიდად ვსაუბრობდით, ვერავინ გაიგო, რომ იმ საკლასო ოთახში გაკვეთილი მიმდინარეობდა. თუმცა, თავიდან ყველა ერთად ლაპარაკობდა, ამიტომ ასეთი რამ მოვიფიქრე: ქაღალდი დავჭმუჭნე და ბავშვებს ვესროდი, რომელიც დაიჭერდა, საუბარს ის აგრძელებდა. ამან ისეთი ეფექტი იქონია, რომ ბავშვები მართლა უსმენდნენ ერთმანეთს. მოკლედ, ეს იყო ჩემი პირველი გაკვეთილი, რომლის შემდეგაც მთხოვეს, ამ ბავშვებთან დამეწყო მუშაობა მასწავლებლად. დავთანხმდი, მაშინ 26 წლის ვიყავი, ავიყვანე პირველი კლასი და 14 წელი ვიმუშავე მასწავლებლად. დღესაც მგონია, თუკი რამ მაგონდება კარგად, ეს ჩემი მასწავლებლობის პერიოდია.


ინფორმაცია
**ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში** გვ. 3

რეგიონი
**საგანმანათლებლო ტრადიციები და თანამედროვე გამოწვევები** გვ. 6

ინტერვიუ რექტორთან
**კარგ სტუდენტს დასაქმების პრობლემა არ აქვს** გვ. 7

პედაგოგთა დასახმარებლად
**როგორ ვასწავლოთ პრაგმატული ტექსტის წერა**
ქართული (დაწყებითი საფეხური) გვ. 9


### შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გვინდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება ერთიანი ეროვნული გამოცდების ელექტრონული ფორმატის დანერგვაზე. პირველ ეტაპზე, გამოცდების ჩატარება ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით იგეგმება. ამ საკითხთან დაკავშირებით პრინციპული გადაწყვეტილება მიღებულია, თუმცა დეტალები დეკემბერში, აპრობაციის დასრულების შემდეგ დაზუსტდება.

შეგახსენებთ, რომ ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატი მხოლოდ ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონული ფორმით მიწოდებას ითვალისწინებს, ანუ გამოცდებზე აპლიკანტი დავალებებს მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე დაინახავს, პასუხებს კი ჩვეულებრივ, წინა წლების მსგავსად, პასუხების ფურცელზე მონიშნავს ან დაწერს. ამ სიახლის უკეთ გაცნობის მიზნით, ცენტრი მსურველებს საშუალებას აძლევს გამოცდის ფორმატთან მიახლოებულ პიროგებში შეამოწმონ საკუთარი ცოდნა და შესაძლებლობები – იწყება ახალი პროექტი, რომლის აპრობაციაში ჩართვასაც ქუთაისისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მე-12 კლასელებს ვთავაზობთ. აბიტურიენტთა მხარდაჭერის მიზნით ასევე ვაგრძელებთ სპეციალური საინფორმაციო ვიდეორგოლების მომზადებასაც. რგოლების დახმარებით სხვადასხვა საგნის ექსპერტები მნიშვნელოვან რჩევებსა და რეკომენდაციებს მისცემენ აპლიკანტებს.

რაც შეეხება გამოსაშვებ გამოცდებს, ამ მიმართულებით არანაირი ცვლილება არ იგეგმება – საატესტატო გამოცდებს სკოლის მოსწავლეები ჩვეულებრივი ფორმატით, სასწავლო წლის ბოლოს ჩააბარებენ.

მზად ვართ, ვუპასუხოთ თქვენს კითხვებს. შეგახსენებთ, რომ ასევე შესაძლებლობა გაქვთ დაუკავშირდეთ ცენტრის ცხელ ხაზს: 2 47 33 33.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გისურვებთ წარმატებას!

გვერდი 2

ერთიანი ეროვნული გამოცდები

# პირველი ნაბიჯი გამოცდების ელექტრონულ ფორმატზე გადასასვლელად

*შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აბიტურიენტებისათვის ახალ პროექტზე მუშაობას გაზაფხულიდან დაიწყებს და პილოტირებაში ჩართვას ქუთაისისა და ჩოხატაურის მე-12 კლასელებს სთავაზობს. შეთავაზების თანახმად და მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით, ამ მუნიციპალიტეტების საჯარო თუ კერძო სკოლების მე-12 კლასელებს საშუალება ეძნებათ არა მხოლოდ ტესტსა და სწორ პასუხებს გაეცნონ, არამედ, საცდელი რეჟიმიდან გამომდინარე, სრულიად უფასოდ მიიღონ მომსახურება, რომელიც მათი ნაშრომების გასწორებას ითვალისწინებს. 20 ოქტომბრიდან, მსურველები რეგისტრაციას გადიან ვებგვერდებზე: www.naec.ge და online.naec.ge.*

*ცენტრი მათ, გამოცდის ახალ ფორმატთან მიახლოებულ პირობებში, საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების გამოცდის საშუალებას აძლევს. წინასწარ გამოქვეყნებულ ვადებში, სპეციალურ ვებგვერდზე განთავსდება სავალდებულო და არჩევითი გამოცდების ტესტების ელექტრონული ვერსიები, რომელთა გაცნობა ყველა მსურველს უსასყიდლოდ შეეძლება. ელექტრონული ვერსიები რამდენიმე დღის განმავლობაში იქნება განთავსებული, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი გამოქვეყნდება სწორი პასუხები.*

*მონაწილეს შესაძლებლობა ეძნება, საკუთარ (ან სკოლის) კომპიუტერთან შეასრულოს მოცემული დავალება, სურვილის შემთხვევაში კი, საგამოცდო ფორმატი (მონიტორიდან წაკითხული ტესტის შესრულება, დროის ათვლა, განაწილება და ა.შ.) სრულად გაიმეოროს.*

*პროექტი, ამავე დროს,* ***დამატებით მომსახურებას*** *სთავაზობს მონაწილეებს – თუ აბიტურიენტი გარკვეულ საფასურს გადაიხდის, ცენტრი ნაშრომების გასწორებას, სურვილის შემთხვევაში კი გათანაბრებული და სკალირებული ქულების დათვლას, უზრუნველყოფს. მინიმუმ 4 გამოცდის არჩევისას, მონაწილეს, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, შეეძლება მიღებული შედეგები წინა წლის საკონკურსო ქულებს შეადაროს. ამისათვის ჩამონათვალიდან სასურველი ფაკულტეტები უნდა აირჩიოს. ამის შემდეგ კი ეკრანზე გამოჩნდება მისი საკონკურსო ქულა იმ ფაკულტეტისათვის, რომელიც აირჩია და 2015 წელს შესაბამის ფაკულტეტზე ჩარიცხულთა მინიმალური საკონკურსო ქულა. ცხადია, მიმდინარე წელს კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩარიცხვის პროგნოზირებისათვის ამ ინფორმაციის გამოყენება მიზანშეუწონელია (საკონკურსო ქულები 2015-2016 წელს შესაძლებელია სრულიად განსხვავებული იყოს), თუმცა აბიტურიენტს არჩევანის ოპტიმალურად გაკეთებასა თუ წინასაგამოცდო პროცესის სწორად დაგეგმვაში დაეხმარება.*

*შეთავაზებით სარგებლობა შეუძლია ყველა მსურველს, რომელიც გადაიხდის შესაბამის საფასურს, გაივლის რეგისტრაციას, აირჩევს გამოცდებს, მიუთითებს საქართველოს ფოსტის ფილიალს, სადაც მიიღებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოყენებული პასუხების ფურცლების იდენტურ ფურცლებს და დეტალურ ინსტრუქციას. ტესტების გამოქვეყნების შემდეგ მონაწილე დავალებების პასუხებს, საგამოცდო ინსტრუქციის შესაბამისად, გადაიტანს ფურცელზე. შევსებულ ფურცლებს კი მოათავსებს კონვერტში და იმავე საფოსტო განყოფილებაში მიიტანს.*

*ნაშრომების გასწორების შემდეგ პროექტის მონაწილე, საკუთარ გვერდზე, იხილავს შედეგებს, გათანაბრებულ ქულებს, სკალირებულ ქულებს, 4 გამოცდის არჩევის შემთხვევაში კი ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ ფაკულტეტებზე ჩარიცხვის შესაძლებლობა ეძნებოდა 2015 წელს მიღებული შედეგებით.*

*პროექტი გაზაფხულიდან დაიწყება და ნებისმიერ მსურველს შეეძლება* ***შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა, რადიო იმედის გადაცემაში „გამოცდებიდან გამოცდებამდე“ თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად, დეტალურად ისაუბრა ელექტრონული ფორმატის შესახებ:***

„ჩვენი ორგანიზაცია, უკვე დიდი ხანია, ინტენსიურად მუშაობს, სიახლის შემოღების კუთხით, ოღონდ ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრირების ნაწილს. ნებისმიერი სისტემა, თუ ის ნამდვილად ეფექტურია, უფრო ეფექტური გახდება, როდესაც კონკრეტული ორგანიზაცია მუდმივ დახვეწაზე ზრუნავს. ეს არის ჩვენი მიზანიც, გვინდა ისეთი სისტემის შეთავაზება აბიტურიენტებისთვის, რომელიც, პირველ რიგში, მათთვის იქნება მოსახერხებელი და სხვა კუთხითაც ნამდვილად ეფექტური იქნება. საუბარია საგამოცდო პროცესის ელექტრონული ფორმით წარმართვაზე. ამთავითვე მინდა ხაზი გავუსვა, რას ვგულისხმობთ გამოცდების ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით წარმართვაში. ის, რომ საგამოცდო პროცესი სრულად ელექტრონული ფორმით იყოს, ძალიან შორი მომავლის გეგმებია, თუმცა, გვინდა აბიტურიენტებს გარდამავალი პერიოდი შევთავაზოთ, რომელიც გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ტესტის ბუკლეტების მიწოდებას ელექტრონულად, ანუ იმის მაგივრად, რომ აბიტურიენტებმა ტესტური დავალებები ბეჭდური ფორმით მიიღონ, ელექტრონული ფორმით მიიღებენ. ოღონდ აბიტურიენტებს მინდა მკაფიოდ ავუხსნა, რომ აქ არ იგულისხმება პასუხების გაცემა ელექტრონული ფორმით. დანარჩენი ნაწილი იქნება ზუსტად ისეთი, როგორიც აქამდე იყო – მათ დაურიგდებათ პასუხების ფურცლები. დავალებას გაეცნობიან ელექტრონული ფორმით, ხოლო პასუხების ფურცელს შეავსებენ ისევე, როგორც აქამდე ხდებოდა. რა თქმა უნდა, ექნებათ ფურცლები შავი სამუშაოსთვის და არაფრის დაბეჭდვა ან ელექტრონული ფორმით პასუხის გაცემა არც ერთ საგამოცდო საგანში გათვალისწინებული არ არის.

პირადად მე, ვფიქრობ, რომ ახალი საგამოცდო პროცესია – ბიტურიენტებისთვისკარგი შეთავაზებაა, რადგან ელექტრონული ფორმით ტესტის დავალებების მიწოდება გაცილებით

> *საგამოცდო პროცესი სრულად ელექტრონული ფორმით ძალიან შორი მომავლის გეგმებია, თუმცა, გვინდა აბიტურიენტებს გარდამავალი პერიოდი შევთავაზოთ – ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატი. მათ დაურიგდებათ პასუხების ფურცლები. დავალებას გაეცნობიან ელექტრონული ფორმით, ხოლო პასუხების ფურცელს შეავსებენ ისევე, როგორც აქამდე ხდებოდა*

მეტ შესაძლებლობას იძლევა, ეფექტურად მიაწოდო და უფრო უკეთ წაკითხვადი იყოს თითოეული ელექტრონული დავალება, ვიდრე ბეჭდური. მაგალითად, ამ შემთხვევაში, არ ვიქნებით შემოსაზღვრული გვერდების რაოდენობით და შესაძლებელი იქნება, ეკრანზე მხოლოდ და მხოლოდ ერთი დავალება განთავსდეს, რათა აბიტურიენტისთვის უფრო მოსახერხებელი იყოს თუნდაც ტექსტის ან დავალებაში მოცემული პირობის აღქმა.

ვიწყებთ ინტენსიურ აპრობაციებს და მის შედეგებზეა დამოკიდებული, იქნება თუ არა საჭირო რაიმე ცვლილება. შესაძლოა, დრო ოდნავ გაიზარდოს, ამასაც, პირველ რიგში, აპრობაცია გვიჩვენებს. დრამატული ცვლილებები, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ნამდვილად არ იქნება. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ელექტრონულ ფორმატს მოვარგოთ ტესტის ბუკლეტების ფორმატი და აქედან გამომდინარე, შეიძლება ოდნავ შეიცვალოს რომელიმე კონკრეტული დავალების ფორმატი. ეს მცირედი ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ ეფექტური ფორმით მოვახერხოთ ელექტრონული ფორმატის აწყობა.

ჩვენ, პირველ რიგში, აბიტურიენტების ინტერესები უნდა გავითვალისწინოთ და მეათე რიგში უნდა ვისაუბროთ იმაზე, როგორ გამარტივდება პროცედურა, თუნდაც ჩვენი ორგანიზაციისთვის და ზოგადად. როცა ჩვენ ტესტის ბუკლეტებს ვბეჭდავთ, ბუნებრივია, გარკვეული თვალსაზრისით, შეზღუდულები ვართ იმ კუთხით, რომ შეუძლებელია ტესტური ბუკლეტი იყოს, პირობითად, 100-გვერდიანი და, რიგ შემთხვევებში, ერთ გვერდზე რამდენიმე დავალებაა განთავსებული. იმის შესაძლებლობა რომ გვქონოდა, ერთ ტესტურ

> *აბიტურიენტებს ვურჩევ, დამშვიდდნენ და ამ სიახლემ არ ააღელვოთ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ზუსტად იგივე პროცედურა ეძნებათ გასავლელი, რაც 2015 წელს და წინა წლებში ჰქონდათ. კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მათ პასუხების ფურცელზე მოუწევთ მუშაობა და ელექტრონული ფორმით პასუხების გაცემა, თუნდაც ზოგადი უნარების გამოცდაზეც კი, სადაც უბრალოდ მოსანიშნია სწორი პასუხი. ერთადერთი სხვაობა იქნება ბუკლეტის ნაცვლად, მათ ელექტრონული ბუკლეტი დახვდებათ, რომელიც, ფორმატის მიხედვით, გაცილებით მისაღები იქნება მათთვის, ვიდრე ბეჭდური ფორმის ბუკლეტი. ასე რომ, გააგრძელონ მზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ისე, როგორც ეს დაგეგმილი ჰქონდათ. მათთვის ნამდვილად იოლდება ცხოვრება და არა – პირიქით.*

დავალებას ერთი გვერდი დათმობოდა, ტესტი გაცილებით მარტივად აღქმადი იქნებოდა აბიტურიენტებისთვის. რაც შეეხება ელექტრონული ფორმით ბუკლეტის მომზადებას, შეზღუდვები არ აქვს და ჩვენ გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება იმისა, რომ, თუნდაც ტექსტი, რომელიც მოცემულია დავალებაში, იმგვარად იყოს განთავსებული მთელ ეკრანზე, რომ აბიტურიენტისთვის გაცილებით მარტივი წასაკითხი და აღსაქმელი გახდეს. აქედან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად დადგება იმის დრო, რომ საგამოცდო პროცესებში ახალი ტექნოლოგიები იყოს გამოყენებული და გარდა იმისა, რომ აბიტურიენტისთვის ეს უფრო ეფექტური იქნება, ჩვენ შევძლებთ მომავლისთვის ავიღოთ ორიენტაცია (2-3 წელიწადში ეს ნამდვილად არ განხორციელდება) მთლიანად ელექტრონულ ფორმატზე გადასასვლელად, მაგრამ ისევ ვიმეორებ, ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდება და ჯერჯერობით, ბუნებრივია, ამაზე არც არის საუბარი.

მოგეხსენებათ, რომ საგამოცდო ბუკლეტების ბეჭდვა საზღვარგარეთ ხორციელდება და მთელ რიგ სერიოზულ პროცედურებთანაა დაკავშირებული. შემდეგ ხდება ამ ბუკლეტების განთავსება საგამოცდო ქალაქებში, ან ეროვნული ბანკის საცავებში, ან შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ ფილიალებში. ბეჭდური ტესტების ბუკლეტები კონფიდენციალური მასალაა, ამიტომ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებია საჭირო. აქედან გამომდინარე, ამ პროცესში ძალიან ბევრი უწყებაა ჩართული (როცა უცხოეთიდან ჩამოდის ტესტები, თავისთავად გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული). ორგანიზაცია, რომელიც გვიწევს მომსახურებას ტესტების ბეჭდვის კუთხით, პასუხისმგებლობას იღებს ასევე ჩალაგების პროცედურაზე საგამოცდო ქალაქების, საგამოცდო ცენტრების მიხედვით და იქ ერთი შეცდომაც კი შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ყოველ წელიწადს „ბეწვის ხიდზე გავდივართ“. საბედნიეროდ, ამ ორგანიზაციასთან ნამდვილად კარგად გვაქვს აწყობილი საქმე და ჯერჯერობით ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა, მაგრამ, როგორც იტყვიან „კოკა ყოველთვის წყალს არ მოი-

ჩვენი საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფი ინტენსიურად მუშაობს ელექტრონული ტესტების უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით. ერთი რამ გავითვალისწინოთ, რომ ტესტური ბუკლეტები გაიხსნება მხოლოდ გამოცდის დაწყების დროს, პირობითად, პირველი ნაკადის გამოცდა, როგორც წესი, იწყება 9 საათზე და ზუსტად 9 საათზე გაიხსნება ელექტრონული ბუკლეტები. როგორც კი გამოცდა იწყება და ტესტური ბუკლეტები, თუნდაც ბეჭდური სახით, იხსნება, ის უკვე კონფიდენციალური აღარ არის. იმიტომ რომ, გამოცდის დასრულების შემდეგ, საგამოცდო ტესტს ჩვენს ვებგვერდზე ვათავსებთ და ყველასთვის მისაწვდომია. მიუხედავად ამისა, როდესაც გამოცდის პერიოდში, აბიტურიენტებს ელექტრონული ფორმით მიეწოდებათ ტესტური ბუკლეტები, ამ დროს ინფორმაციის გაჟონვა რომ არ მოხდეს (თუმცა, ვიმეორებ, რომ ესეც არ არის ტრაგედია), ამაზე ინტენსიურად მუშაობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფი. ბუნებრივია, აპრობაციები, რომლებსაც დავგეგმავთ, ამ მიზანსაც ემსახურება და ბევრი დეტალი აპრობაციების შემდეგ დაზუსტდება.

აბიტურიენტებს ვურჩევ, დამშვიდდნენ და ამ სიახლემ არ ააღელვოთ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ზუსტად იგივე პროცედურა ეძნებათ გასავლელი, რაც 2015 წელს და წინა წლებში ჰქონდათ. კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მათ პასუხების ფურცელზე მოუწევთ მუშაობა და ელექტრონული ფორმით პასუხების გაცემა, თუნდაც ზოგადი უნარების გამოცდაზეც კი, სადაც უბრალოდ მოსანიშნია სწორი პასუხი. ერთადერთი სხვაობა იქნება ის, რომ დაბეჭდილი ტესტური ბუკლეტის ნაცვლად, მათ ელექტრონული ბუკლეტი დახვდებათ, რომელიც, ფორმატის მიხედვით, გაცილებით მისაღები იქნება მათთვის, ვიდრე ბეჭდური ფორმის ბუკლეტი. ასე რომ, გააგრძელონ მზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ისე, როგორც ეს დაგეგმილი ჰქონდათ. მათთვის ნამდვილად იოლდება ცხოვრება და არა – პირიქით“.

მოამზადა
ლალი თვალაბეიშვილმა

ინფორმაცია

# ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებები დამტკიცდა, რომელიც ითვალისწინებს: განახლებული არჩევითი საგნების ნუსხას; კლასის გაყოფის ახალ წესს; წლიური გამოცდის ჩატარების წესს; ეთნიკურ უმცირესობათა ენების სასწავლო გეგმას. ცვლილებების შესახებ გვესაუბრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს უფროსი **მარიამ ჩიქობავა**:

**– ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებებიდან, პირველ რიგში, ვისაუბროთ ეთნიკურ უმცირესობათა ენების სასწავლო გეგმაზე, რადგან პირველად შეიქმნა მსგავსი სტანდარტი...**

– ყოველთვის ვცდილობთ, ახალ სასწავლო წელს სიახლეებით შევხვდეთ, გავითვალისწინოთ წინა წლების გამოცდილებიდან მიღებული ხარვეზები და განვავითაროთ ეროვნული სასწავლო გეგმები. ასევე ვითვალისწინებთ სკოლების დირექტორების, თითოეული მასწავლებლის შენიშვნებს, წინადადებებსა თუ ინიციატივებს. ერთია, ჩვენ რას ვაკეთებთ და მეორე, თუ როგორ მუშაობს ის პრაქტიკაში. როგორც წესი, პრაქტიკოსებისგან მიღებული მოსაზრებები თუ ინიციატივები ჩვენთვის ყოველთვის საინტერესოა.

წელს ეროვნულ სასწავლო გეგმაში რამდენიმე ცვლილება შევიდა. მაგალითად, ერთ-ერთი კარგი სიახლეა ეთნიკური უმცირესობების ენების სტანდარტი, რომელიც პირველად შეიქმნა. სტანდარტი განკუთვნილია არაქართულენოვანი სკოლებისთვის, სადაც ტრადიციულად ისწავლება მშობლიური ენა და ლიტერატურა (სომხური, აზერბაიჯანული, რუსული ენები), სტანდარტის არარსებობის გამო ამ დრომდე დაურეგულირებელი იყო სახელმძღვანელოების საკითხიც. სტანდარტის დამტკიცება სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევს მშობლიური ენის სწავლებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს და სამომავლოდ, უკვე შესაძლებელია სახელმძღვანელოების შექმნაც, რომელიც გრიფირების კონკურსს გაივლის და ჩვეულებრივ შევა სკოლებში.

გარდა ამისა, სტანდარტი მომზადდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისთვისაც (ქურთული, ასირიული, ჩეჩნური და ა.შ. ენებისთვის), რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ და, ჩვეულებრივ, ქართულენოვან სკოლებში სწავლობენ, მაგრამ, მშობლიური ენის შენარჩუნების მიზნით, სურვილი აქვთ ისწავლონ თავიანთი ენა. ახლა დგინდება სკოლების სია – თუ სკოლა გამოთქვამს სურვილს და ამისთვის ადამიანური რესურსი ეყოლება, ჩვენ ხელს შევუწყობთ, კვირაში ორსაათიანი დატვირთვით, არჩევით საგნად ასწავლონ მშობლიური ენა. რაც შეეხება პედაგოგებს, მათი პოვნა და გადამზადება საკმაოდ რთულია, თუმცა არიან მოხალისე პედაგოგები, რომლებიც აქამდეც ახერხებდნენ ენის სწავლებას დამატებითი საგანმანთლებლო მომსახურების მეშვეობით. თავად სკოლა ცდილობდა ამისთვის სახსრების მოძიებას, ახლა კი სტანდარტმა საშუალება მისცა, სამინისტრომ დაუფინანსოს მათ კვირაში ორი საათი მშობლიური ენის სწავლებისთვის. ვნახოთ, რა შესაძლებლობები იქნება მომავალში სასწავლო რესურსების განვითარების თვალსაზრისით.

**– ცვლილება შევიდა არჩევითი საგნების ნუსხაშიც. ყველა არჩევითი საგანი გადანაწილდა საგნობრივ ჯგუფებში. რას გულისხმობს ეს ცვლილება?**

– არჩევით საგნებს დაემატა საგანი ჭადრაკი – სპეციალური ელექტრონული პროგრამა, რომელიც დიდი ხანია შექმნილია, მაგრამ აქამდე არ იყო დანერგილი და ამუშავებული, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კერძო სკოლას. წელს უფრო მასშტაბურად და კომპლექსურად მივუდექით ამ საკითხს, გადამზადდნენ პედაგოგები და 300-ზე მეტ სკოლაში დაიწყო ჭადრაკის ელექტრონული პროგრამით სწავლება მეორე კლასებში. მომავალ წელს მესამე კლასებიც შეემატება.

კიდევ ერთი სიახლე გვაქვს – ყველა არჩევითი საგანი გადანაწილდა საგნობრივ ჯგუფებში. როგორც იცით, არჩევითი საგნები ძირითადი საგნების მომიჯნავეა და მათი სწავლების მიზანი მოსწავლის თვალსაწიერის გაფართოებაა, თუკი რომელიმე დისციპლინა სიღრმისეულად აინტერესებს. 30-მდე არჩევითი საგანი ძირითადი საგნების ჯგუფებში გადანაწილდა. ამ გადაწყვეტილების ძირითადი მიზეზი მასწავლებელთა კარიერული წინსვლის ახალი სქემაა, რომლის მიხედვითაც პედაგოგები სხვადასხვა კატეგორიებად ნაწილდებიან. მასწავლებლები, რომლებიც არჩევით საგნებს ასწავლიან, მიუხედავად იმისა, რომ ასრულებენ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოვალეობებს, სრულად ვერ იღებდნენ დამსახურებულ ანაზღაურებას სერტიფიცირების დანამატის სახით. ამავდროულად, გამოვლინდა, რომ მასწავლებელთა ნაწილი ვერ ნაწილდება შესაბამის სტატუსზე, თუკი ისინი სერტიფიცირებულები არიან და საგანს არჩევითი საგნების ნუსხიდან ასწავლიან. არჩევითი საგნების საგნობრივ ჯგუფებთან მიკუთვნება აღნიშნულ პრობლემას მოაგვარებს.

ზოგიერთი არჩევითი საგანი ორ ჯგუფში მოხვდა, მაგალითად, ინგლისური ენის მასწავლებელს, რომელსაც გავლილი აქვს ამერიკისმცოდნეობის კურსი და/ან კარგად იცნობს დასავლურ ლიტერატურას, უნდა ეძლეოდეს ამ არჩევითი საგნის სწავლების საშუალება. ასევე, მაგალითად, ისტორიკოსს, რომელიც შეძლებს მოსწავლეების გაყვანას ამერიკისმცოდნეობის კურსით გათვალისწინებულ შედეგებზე, რატომ არ უნდა მივცეთ მისი სწავლების შესაძლებლობა?! ასევე, მაგალითად, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამები შეიძლება ასწავლოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პედაგოგმაც და მუსიკის მასწავლებელმაც, რომელმაც იცის ამ ტიპის პროგრამებში მუშაობა.

ზოგადად ვფიქრობთ, რომ არჩევითი კურსების სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, მასწავლებლებს მეტ შესაძლებლობებს ვთავაზობთ (რაც ხელფასის ზრდასაც უკავშირდება), მეორე მხრივ, მათ წავახალისებთ პროფესიული ზრდისა და თვალსაწიერის გაფართოების კუთხით.

**– ცვლილებაა წლიური გამოცდის წესთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, დაწესდა გარკვეული შეზღუდვა, რა არის ამის მიზეზი?**

– რატომღაც სკოლების უმეტესობა ტესტირებასა და გამოცდებზე ძალიან დიდ აქცენტს აკეთებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასწავლო პროცესი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამოცდა. რა თქმა უნდა, გამოცდას არ ვაკნინებთ, მაგრამ დავაწესეთ ერთი შეზღუდვა – თუკი სკოლა ერთ საგანში ჩაატარებს გამოცდას, მომდევნო ორი წლის განმავლობაში იმავე საგანში გამოცდის ჩატარების უფლება აღარ აქვს. მაგალითად, თუ სკოლამ მე-7 კლასში ჩაატარა გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მე-8 და მე-9 კლასებში ამავე საგანში ამავე კლასში გამოცდას ვეღარ ჩაატარებს, სამაგიეროდ, შეუძლია სხვა საგნებში დანიშნოს გამოცდა. ამავე დროს, გვინდა, რომ გამოცდებზე ნაკლებად შესთავაზონ მოსწავლეებს ცალსახაპასუხიანი ტესტები და ისინი უფრო შინაარსიანი, კონტექსტუალიზებული, კომპლექსური დავალებებით დაიტვირთოს.

**– და მეოთხე ცვლილება კლასის გაყოფის წესს გულისხმობს...**

– კლასის გაყოფას რაც შეეხება, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დღემდე მხოლოდ ქართულსა და უცხოურ ენაში იყოფოდა კლასები, თუკი სკოლას ჰქონდა ამის რესურსი. მაგრამ გაჩნდა საჭიროება, სხვა საგანშიც გაიყოს კლასი. მაგალითად, VI კლასში (ეს ის თაობაა, რომელსაც არ აქვს „ბუკი“), სადაც ისწავლება საგანი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, თუკი სკოლაში ერთ საკლასო ოთახში არის, მაგალითად, მხოლოდ 10 კომპიუტერი, შესაბამისად, 10 მოსწავლეზე მეტის დასმა ისტ-ის გაკვეთილზე ნაკლებად ეფექტური იქნება. ბუნებრივია, თუ ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ იქნება ამის დაშვება, სკოლა ვერ გაყოფს ამ საგანში კლასს. ვფიქრობთ, ეს ცვლილება უზრუნველყოფს მეტ ხელმისაწვდომობას და აამაღლებს პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხს.

**ესაუბრა ლალი ჯელაძე**

ინფორმაცია

# სკოლის ექიმების ტრენერთა ტრენინგი

საქართველოს მასშტაბით უკვე 300-მდე საჯარო სკოლაში ამოქმედდა ექიმის ახალი კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, მედიკამენტებითა და სხვა საჭირო რესურსით. ექიმის კაბინეტების მოწყობის პროცესი შეუქცევადია და იგი ახალი წლიდანაც გაგრძელდება.

ზემოაღნიშნულ პროექტზე განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები ერთობლივად მუშაობენ. სკოლის ექიმებად საქმდებიან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შერჩეული პირები, რომლებიც ფლობენ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში – საოჯახო მედიცინა/პედიატრია. სკოლის ექიმების გადამზადებას და მათი საქმიანობის მონიტორინგს ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებს.

ამ ეტაპზე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის ორგანიზებით, ლოზანის უნივერსიტეტის უწყვეტი გადამზადების პროგრამის ფარგლებში, სკოლის ექიმების ტრენერთა ტრენინგი ჩატარდა შემდეგ თემებზე – ახალგაზრდებისა და მოზარდების ჯანმრთელობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, დაავადებების პრევენცია, ჰიგიენა და სხვ. ტრენინგს უძღვებოდნენ მედიცინის დოქტორი, ლოზანის უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების სამსახურთან არსებული EuTEACH-ის კოორდინატორი პიერ-ანდრე მიშო და ქართველი ექსპერტები.

პროექტის ამოქმედება გადაუდებელმა აუცილებლობამ განაპირობა – ვინაიდან წლების განმავლობაში სკოლების უმეტესობა დამოკიდებული იყო მხოლოდ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მომსახურებაზე და არ იყო ჩართული იმუნიზაციის ხელშემწყობ პროცესებში, არ არსებობდა სკოლის მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემთა ბაზა და არ მოქმედებდა რეფერალის განხორციელების ადეკვატური მექანიზმი. სკოლებში ფიქსირდებოდა ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო მდგომარეობა და ინფორმირებულობისა და ცოდნის ნაკლებობა ჰიგიენის საკითხებთან დაკავშირებით. ყველა ეს პრობლემა ახალი პროექტის ფარგლებში გადაიჭრება, მოსწავლეები, საჭიროების შემთხვევაში, კვალიფიციურ პირველად სამედიცინო დახმარებას სკოლაშივე მიიღებენ.

**ლია გიგაური,** განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„ეფექტური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველსაყოფად დაიწყო სკოლის ექიმის ინსტიტუტის განვითარება. პროგრამა, მესამე წელია, წარმატებით მიმდინარეობს. სკოლების უმეტესი ნაწილი უკვე იღებს ექიმის სერვისს, თუმცა, სკოლის ექიმის პროფესიულ განათლებაზე ზრუნვა, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ დავიწყეთ. პროფესიული განვითარებისთვის მომზადდა სპეციალური ტრენინგ-მოდული. ამჟამად, დაწყებულია სკოლის ექიმების ტრენერების ტრენინგი. ტრენინგის შემდეგ, ფაქტობრივად, საქართველოს სკოლების ყველა ექიმი პროგრამაში იქნება ჩართული. დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც გაგრძელდება ტრენინგების ციკლი და სკოლის ექიმების კვალიფიკაცია თანამედროვე გამოწვევების და მოთხოვნების შესაბამისი იქნება.“*

**ლელა ბაქრაძე**, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი: *„დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრში სკოლის ექიმების ტრენერთა ტრენინგზე მომზადდებიან პროფესიონალი კადრები, შემდგომი გადამზადებისათვის როგორც პროფესიონალების, ასევე სკოლის ექიმების, ახალგაზრდების და მოზარდების ჯანმრთელობის საკითხებზე, მათ შორის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, დაავადებების პრევენცია, ჰიგიენა და ა.შ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომელიც ტარდება სამმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში – დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს, გაეროს მოსახლეობის ფონდსა და ლოზანის უნივერსიტეტის უწყვეტი გადამზადების პროგრამას შორის. მოხარულნი ვართ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, დაიწყო პირველი ასეთი ინიციატივა საქართველოში. მოწვეული გვყავს ძალიან ცნობილი პროფესორი ლოზანის უნივერსიტეტიდან – პიერ-ანდრე მიშო, რომელსაც მრავალი ათეული წლის გამოცდილება აქვს. მას ეხმარებიან ქართველი ექსპერტები – ჯენერ ქრისტესაშვილი და მაკა გეგეჭკორი. ისინი ერთობლივად, ოთხი დღის განმავლობაში, ოც პროფესიონალს მოამზადებენ, რომელთაც შემდგომ, შესაძლებლობა ექნებათ, გადაამზადონ სკოლის ექიმები, ისევე როგორც ჯანდაცვის სხვა პროფესიონალები. მნიშვნელოვანია, რომ სატრენინგო მოდულის მიხედვით, რომელიც სრულად ეყრდნობა ლოზანის უნივერსიტეტის სასწავლო მასალებს, მომზადდება სასწავლო მოდული უწყვეტი პროფესიული განათლებისთვის და მოხდება მისი აკრედიტაცია, ასევე, დაიბეჭდება სახელმძღვანელოდ, რათა გაწეული დახმარება უფრო მდგრადი იყოს. თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.“*

სტუმარი

# საზოგადოების ჩაკეტილობას სკოლის ასაკიდან უნდა ვებრძოლოთ



*პირველი გვერდიდან*

ჩვენთან ასეთი მეთოდი იყო, რომელ კლასსაც აიყვანდი, ბოლომდე მიყვებოდი და მათი დამრიგებელიც იყავი. არავინ არ გზღუდავდა, თუკი წასვლას გადაწყვეტდი, მაგრამ დაუწერელი კანონი ჩამოყალიბდა – კლასის მიტოვება, მორალურად, ღალატი იყო. თუკი ვინმეს უკეთესი სამსახური გამოუჩნდებოდა, რამე კარგი შეთავაზება ჰქონდა, კლასი მაინც მიჰყავდა ბოლომდე და მერე მიდიოდა სკოლიდან.

სრულიად განსხვავებული ატმოსფერო იყო სკოლაში. უნივერსიტეტიდან ძალიან ბევრი ნაცნობი და მეგობარი ვიყავით, თან სულ ახალგაზრდები – ერთი, რომ ჩვენ შორის სხვა დამოკიდებულება იყო და მეორე – ბავშვებთან გვქონდა გამორჩეული ურთიერთობა, ძალიან თანასწორი და თავისუფალი. ბატონი გურამი სწორედ ამას გვეუბნებოდა – ყველაფერს, რასაც ვასწავლით, ვასწავლით იმიტომ, რომ გავზარდოთ თავისუფალი მოქალაქეები. ვფიქრობ, რომ ამ სკოლის (მერე ეს სკოლა გამრავლდა) აღზრდილებმა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას ძალიან დიდი კვალი დააჩნიეს. შეიძლება ვინმეს ცოტა ამბიციურად მოეჩვენოს ეს სიტყვები, მაგრამ ნამდვილად სხვანაირად მოაზროვნე ადამიანებს ვუშვებდით სკოლიდან. ამიტომაც, კარგად მახსენდება ჩემი მასწავლებლობის პერიოდი.

**– მასწავლებელმა რომ საგანი უნდა იცოდეს და ფლობდეს პროფესიულ უნარებს, ეს საკამათო არ არის. გარდა ამისა, რა უნარებს უნდა ფლობდეს, რომ იყოს კარგი მასწავლებელი?**

– სიმართლე გითხრათ, არც პედაგოგიკურ მეცნიერებებში მიმუშავია და არც ბევრი წამიკითხავს ამის შესახებ, უბრალოდ დასკვნებს ჩემი გამოცდილებიდან გავაკეთებ და გეტყვით, რომ მასწავლებელს, ალბათ, რაღაც სქემები და მისი განვითარების ეტაპები სჭირდება, რომ სისტემატიზებული იყოს, მაგრამ მაინც მგონია, რომ მასწავლებლობა, ნებისმიერი პედაგოგიური მოღვაწეობა, ძალიან შემოქმედებითი საქმეა. ჩემთვის, ის რაც შემოქმედებითია, აუცილებლად უნდა შეცავდეს შინაგან მოწოდებას. სქემებით მწერალი ან მხატვარი ხომ ვერ გახდები? რასაკვირველია, ცოდნაზე აქ ლაპარაკი არ არის, მაგრამ, გარდა ამისა, რადგან ეს შემოქმედებაა და ძალიან ინდივიდუალური საქმიანობაა, ამიტომ უნდა იყოს მოწოდებაც. პედაგოგი რომ გახდე, უნდა გინდოდეს, ბედნიერიც უნდა იყო იმით, რომ ამას აკეთებ, სხვა სულიერ სიმშვიდესა და სიამოვნებას უნდა განიჭებდეს. ასეთი მასწავლებელი, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა მეგულება. თუ ეს შემოქმედებაა, თავისთავად, ადამიანის მოწოდებაცაა. მასწავლებლები – ჩემ დროსაც ასე იყო და შემდეგაც, როცა ჩემი შვილები სწავლობდნენ სკოლაში, ამასთან მქონია შეხება – რატომღაც მიიჩნევენ, რომ მათ იციან, რომ 2-ჯერ 2 ოთხია და მოსწავლეს არ აქვს უფლება, თავისი აზრი ჰქონდეს იმის შესახებ, რატომ არის 2-ჯერ 2 ოთხი და რატომ არ არის ხუთი ან სამი. თუ შენს საქმიანობას ისე მიუდგები, როგორც შემოქმედებას, აუცილებლად დაგაინტერესებს შენი აზრების ოპონირება. და თუ ოპონირება გაინტერესებს, გაკვეთილი აბსოლუტურად სხვანაირ სახეს იძენს, სადაც მასწავლებელი მხოლოდ წარმმართველია თავისი ცოდნით და ადამიანური გამოცდილებით, დანარჩენი ყველაფერი კი მოსწავლეებზე გადადის. ასეთ შემთხვევაში იმ დასკვნამდე, რომ 2-ჯერ ორი ოთხია, მოსწავლეები თავად მიდიან. თუ ასეთი მიდგომა იქნება, სულ სხვა ხარისხსა და სიღრმეს მივიღებთ ცოდნისას. შეიძლება ეს მაღალფარდოვნად ჟღერს, მაგრამ ასე მგონია.

იმის გამო, რომ გერმანულ სკოლაში განსხვავებულად ვუდგებოდით სასწავლო პროცესს (კომუნისტების დროა), პროგრამაც განსხვავებული გვქონდა, საათობრივი დატვირთვით. იმაზეც კი იყო ლაპარაკი, კურსდამთავრებულისთვის მიეცათ თუ არა სკოლის სახელმწიფო ატესტატი. საბედნიეროდ, გერმანული სკოლის სიკეთეებს განათლების სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობაც მიხვდა და ეს პრობლემები რაღაცნაირად გადავლახეთ, თან გურამ რამიშვილის ავტორიტეტი ძალიან მაღალი იყო და, რა თქმა უნდა, ამანაც შეუწყო ხელი. ერთ მაგალითს გავიხსენებ, მაშინ განათლების სამინისტრო „პრობლემურ“ სკოლებში აგზავნიდა დამსწრეებს, რომლებიც ყველა გაკვეთილს ესწრებოდნენ და მერე რაღაც დასკვნებს წერდნენ. ასეთი დამსწრე მეც მომივლინეს, გაკვეთილად „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ გვქონდა. მინდა გითხრა, რომ ამ გაკვეთილის მერე ორი დამსწრე ქალბატონი აკივლებული გავარდა სკოლიდან, ახლა არც სახელები მახსოვს მათი და არც გვარები, მახსოვს მხოლოდ ფრაზები, რომელსაც ამბობდნენ: „როგორ ამახინჯებს ბავშვებს“, რომ ჩემი მიკარება არ შეიძლებოდა მოსწავლეებთან... მოკლედ, დიდი ამბავი ატყდა. მოითხოვდნენ სკოლიდან ჩემს გაშვებას, მაგრამ გადამარჩინეს და დამიცვეს კოტე გაბაშვილმა და გურამ რამიშვილმა. ამ ამბავმა იმხელა რეზონანსი გამოიწვია, რომ გაკვეთილის მოსასმენად სპეციალურად მოვიდა განათლების მაშინდელი მინისტრი გურამ ენუქიძე. სხვა თემა გვქონდა გაკვეთილად, მაგრამ მინისტრმა თქვა, სხვა არ მინდა, „ჭრიჭინა და ჭიანჭველას“ გაკვეთილი უნდა მოვისმინოო. პირველი, რაც გავაკეთე, ბავშვებს ვკითხე, გინდათ, რომ კიდევ ერთხელ „ჭრიჭინა და ჭიანჭველაზე“ ვილაპარაკოთ? ბავშვები დამთანხმდნენ და დაიწყო გაკვეთილი. მთელი უბედურება იმაში იყო, რომ იგავ-არაკს გვასწავლიდნენ მხოლოდ იმ კუთხით, რა კარგი იყო ჭიანჭველა და რა ცუდი – ჭრიჭინა. ჭიანჭველა შრომობს, ჭრიჭინა დახტის. ზამთარი მოვიდა და თავქარიანი და ზარმაცი ჭრიჭინა გაიყინება, ვინც შრომობს, ის კარგად იქნება. სინამდვილეში, როცა ბავშვებს ვთხოვე ამის შეფასება (ანუ რაზეც ზემოთ ვლაპარკობდი, არ მითქვამს, რომ 2-ჯერ ორი ოთხია), აღმოჩნდა, რომ ბავშვების უმეტესობამ, განწყობითა და სულიერი მდგომარეობით, თუნდაც ბავშვურობით, ჭრიჭინას მხარე დაიჭირა, რაც სულაც არ არის გასაკვირი – წარმოიდგინეთ ბავშვის ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ამ იგავ-არაკის მიმართ – ზაფხული, ბავშვი თამაშობს, დახტის, ერთობა – აბა, რა უნდა აკეთოს ზაფხულში? მათთვის ხომ ძნელი გასაგებია, ამ დროს სარჩო-საბადებელზე იზრუნოს და იშრომოს. ჭიანჭველამ, რომელმაც იშრომა და ეს ყველაფერი დააგროვა, ჭრიჭინა ზამთარში შიმშილით სიკვდილისთვის და გასაყინად გაიმეტა. მათი დასკვნებით, ყველაფერი შებრუნებით გამოგვივიდა. დამსწრე ქალბატონებმაც ამიტომ ატეხეს ისეთი ამბავი.

გაკვეთილზე მე, ფაქტობრივად, არ ვლაპარკობდი, მხოლოდ მაშინ ვაძლევდი ბავშვებს შენიშვნებს, თუ რამეს დაამახინჯებდნენ იგავ-არაკის შინაარსიდან ან არასწორად გადმოსცემდნენ ტექსტს. დანარჩენი მთლიანად ბავშვებზე იყო მინდობილი. საბედნიეროდ, მაშინდელი განათლების მინისტრი მიხვდა, რომ ეს სულ სხვა რამ იყო, უკეთესი, ვიდრე გამზადებული ფორმულებით ადამიანების აღზრდა. აღმოჩნდა, რომ თურმე გაკვეთილი იწერებოდა ისე, რომ ჩვენ არც კი ვიცოდით, შემდეგ აუდიოჩანაწერი რადიოში გადაიცა. ასეთი პრეცედენტიც იყო. იმის საილუსტრაციოდ, რომ სულ სხვა პროდუქტს ვიღებთ როგორც განათლების, ისე სამოქალაქო აღზრდის თვალსაზრისით, როცა ბავშვები თვითონ აზროვნებენ და გამზადებულ შაბლონებს და ფორმულებს არ ვაძლევთ, ეს მაგალითიც გამოდგება. ცოტა რომ განვაზოგადოთ, ასეთი ადამიანები საკუთარ ცხოვრებას თვითონ მართავენ და ეს ძალიან კარგია, არ ელოდებიან ციდან მანანის გადმოყრას, თვითონ არიან დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღებები და კარგი ლიდერები, რაც მე მგონია, რომ ჩვენს საზოგადოებას ძალიან აკლია.

როგორც გითხარი, ერთ-ერთი მთავარი ამ პროფესიაში მოწოდებაა. არის კატეგორია ხალხის, რომელიც ძალიან შემოქმედებითად უდგება თავის საქმეს, რაზეც უკვე ვილაპარაკე. მასწავლებლობა ძალიან მძიმე შრომაა და ამ სიმძიმეს ქმნის სწორედ არასწორი დამოკიდებულება. თუ მოსწავლეებთან სწორი დამოკიდებულება გაქვს, არაფერი ნერვების ასაშლელი არ არის. 14 წელი ისე ვიყავი მასწავლებელი, რომ კლასში მხოლოდ მაშინ ვდგებოდი ფეხზე, როცა რვეულები უნდა ამეკრიფა ან დამერიგებინა. ამ ხნის განმავლობაში ხმისთვის არ ამიწევია. თუ ვინმეს მოსწავლე ნერვებს უშლის, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ მისი ბრალია და არა ბავშვების, რადგან ცუდი ბავშვები არ არსებობენ, ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. მე სკოლაში მყოლია ძალიან ცელქიც, ზარმაციც, შშმ-ც – დაუნის სინდრომით დაავადებული მოსწავლეებიც  და ყველასთან ფანტასტიკური ურთიერთობა მქონდა.

**– სამწუხაროდ, დღეს ახალგაზრდების ძალიან მცირე ნაწილი ირჩევს მასწავლებლის პროფესიას. რას ეტყვით ახალგაზრდებს, რატომ უნდა აირჩიონ ეს პროფესია?**

– მასწავლებლის პროფესიის სიმძიმეს პასუხისმგებლობა განსაზღვრავს. ეს პასუხისმგებლობა არის ძალიან ყოფითი, ნახევარი დღის განმავლობაში ბავშვები შენს ხელში არიან და მათ არაფერი არ უნდა დაემართოთ, არადა, დარბიან, ცელქობენ, ხან ჩხუბობენ, ხან რას მოიტანენ სკოლაში. მაგალითად, ერთ-ერთმა მოსწავლემ გაზიანი სასმელების გასაკეთებელი სიფონი მოიტანა, რომელშიც ასანთის ღერები ჩატენა და ცეცხლი მოუკიდა, ხელში აუფეთქდა და ოთხივე თითი მოიწყვიტა. ეს გაკვეთილების დაწყებამდე, დაახლოებით, 10 წუთით ადრე მოხდა. სამწუხაროდ, ასეთი რამეებიც ხდება, ამიტომაც ძალიან დიდია პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, გაქვს კიდევ ჩვეულებრივი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, იმიტომ, რომ 12 წლის განმავლობაში შენზეა დამოკიდებული 30, ზოგჯერ 40 (თუ სხვადასხვა კლასებში შედიხარ), ზოგჯერ 150 ადამიანის ბედი, შენზეა დამოკიდებული როგორი მოქალაქე დადგება, ვინ გაიზრდება, არა აქვს მნიშვნელობა გეოგრაფიის მასწავლებელი ხარ, ქართულის თუ მათემატიკის. იმიტომ, რომ ამ ბავშვებთან, მათი ჩამოყალიბების პერიოდში, შენ გაქვს ყველაზე ინტენსიური ურთიერთობა. თუ ეს პასუხისმგებლობები გააზრებული გაქვს, ძალიან რთულ პროფესიას ეჭიდები. ამიტომ მგონია, რომ შედარებით სწორად მოაზროვნე და მეტი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები, ამ ყველაფერს რომ იაზრებენ, შეჭიდების ეშინიათ ან უბრალოდ ერიდებიან. ამიტომაა ძნელად ასარჩევი მასწავლებლის პროფესია.

მასწავლებლის შრომის ანაზღაურება მიზერულია, ძალიან მცირეა. თუნდაც ის ყბადაღებული 1000 ლარი რომ უნდა გაუხდეთ, ძალიან ცოტაა იმ შრომისთვის და პასუხისმგებლობისთვის, რაც მათ აკისრიათ. ჩემი ნება რომ იყოს, ბევრ სახელმწიფო მოხელეს ჩამოვართმევდი ხელფასს და დავუმატებდი მასწავლებელს. შედარებაც კი არ შეიძლება პედაგოგის პასუხისმგებლობასა და ვთქვათ, რომელიღაც რაიონის საკრებულოში მჯდომი ადამიანის პასუხისმგებლობას შორის, არადა, პირიქითაა და არა მხოლოდ ჩვენთან. ახალგაზრდებისთვის პედაგოგის პროფესია პრესტიჟული რომ გახდეს, გარდა ხელფასის სიდიდისა (ხელფასის სიდიდეს, ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, მესამე ან მეოთხე ხარისხის მნიშვნელობა ენიჭება), პედაგოგს მისი პასუხისმგებლობის შესაბამისი სოციალური ბონუსები უნდა ჰქონდეს სკოლაში. ჩემი ნება რომ იყოს, მასწავლებელს აუცილებლად ექნებოდა სამედიცინო დაზღვევის სრული – 100%-იანი პაკეტი, მედიკამენტების უფასოდ მიღების ჩათვლით; მასწავლებელს, აუცილებლად, ზაფხულში, მისთვის სასურველ ადამიანებთან ერთად, თუნდაც ორი კვირით, უფასო საკურორტო მომსახურება უნდა ჰქონდეს – თუკი ეს შეიძლება ექნეს სხვა პროფესიის წარმომადგენლებს, რატომ არა მასწავლებლებს. და მესამე, პედაგოგებს დავუწესებდი თვეში 50-ლარიან ვაუჩერს, რომელსაც გამოიყენებდნენ ნებისმიერი წიგნის მაღაზიაში, მათთვის სასურველი ლიტერატურის შესაძენად. რადგან წიგნები ძვირია, ამ ვაუჩერის დაგროვების საშუალებასაც მივცემდი – შეიძლება 10-ლარიანი წიგნის შეძენაზე უარი თქვას, აიყვანოს 60 ლარზე და შემდეგ იყიდოს, მაგ., ხელოვნების მასწავლებელმა – რომელიმე მხატვრის ალბომი. თუ კარგად დაფიქრდები, კიდევ შეიძლება რამის დამატება, მაგრამ ახლა ეს სამი რამ მაგონდება, რომელსაც აუცილებლად დავუწესებდი პედაგოგებს და მერე ვნახოთ, და დარწმუნებული ვარ ამაში, აირჩევენ თუ არა მასწავლებლის პროფესიას, თუნდაც იმავე ხელფასზე, რაც დღეს აქვთ, თუ ასეთი სოციალური ბონუსები ექნებათ. ანუ სახელმწიფომ მასწავლებლის სკოლის გარეთ ცხოვრება მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს. კიდევ ვიმეორებ, ეს არის შემოქმედებითი პროფესია და, ამავე დროს, ძალიან დიდი პასუხისმგებლობის მატარებელი. ის სქემები, მასწავლებლების პროფესიულ წინსვლაში ჩადებული ფული, რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ ეს არ მუშაობს, თუ სკოლის გარეთ მასწავლებელს ისევ ყოფით პრობლემებზე უხდება ძალიან ინტენსიური ფიქრი. თავისთავად, ამაზე ისედაც ფიქრობს, მაგრამ მთლიანად არ უნდა იყოს გადართული და სკოლიდან გაქცევაზე არ უნდა ეჭიროს თვალი. როცა ასეთი სოციალური პაკეტები ექნება, ვფიქრობ, არჩევადიც გახდება მასწავლებლის პროფესია და თავისთავად, ძალიან კონკურენტული გარემოც შეიქმნება პედაგოგიურ კორპუსში. ეს კონკურენტული გარემო, გაცილებით გაზრდის პედაგოგიკის ხარისხს საქართველოში, ვიდრე, თუნდაც, მილიონების ჩადება მათ გადამზადებაში. აი, ასე ვფიქრობ მე.

**– ძალიან საინტერესო სოციალური ბონუსები „შესთავაზეთ“ მასწავლებლებს. ეს ყველაფერი იმოქმედებს თუ არა რეპეტიტორობისგან თავის დაღწევაზეც. როგორ ფიქრობთ, რა არის რეპეტიტორობის ინსტიტუტის ასე მომძლავრების მიზეზები?**

– პირველი, რაც თავში მომდის, ეს არის გადატვირთული კლასები, ანუ კლასში, სადაც 30-ზე მეტი ბავშვია, შეუძლებელია ყველა მოსწავლესთან ინდივიდუალურად კონტაქტის დამყარება. ერთი წლის განმავლობაში ვერ მოახერხებ, გაიგო, სასწავლო პროგრამის მიხედვით, სად უჭირს მოსწავლეს და სად სჭირდება მასწავლებელს დამატებითი ძალისხმევა, რომ ბავშვს გაუხსნას გზები, წინ წავიდეს. 30 ბავშვის შეფასებაც კი წარმოუდგენელად მიმაჩნია და მით უმეტეს, როცა კლასში 30-ზე გაცილებით მეტი მოსწავლეა. ამიტომ, ახალს არაფერს მოვიგონებ, ისევ გერმანული სკოლის მაგალითზე გეტყვით. გაკვეთილზე მოსწავლეების რაოდენობა რომ შეგვემცირებინა, ზღვარი გვქონდა დაწესებული, 30-ზე მეტი ბავშვი არ მიგვეღო კლასში, მაგრამ 30-ც ძალიან ბევრია. 30 ბავშვი იყოფოდა სამ ნაწილად. მაგალითად, მე-10 პირველ კლასში, ერთდროულად (ანუ 45 წუთში), 10 მოსწავლეს ჰქონდა ქართულის გაკვეთილი, 10-ს – გერმანულის, 10-ს – მათემატიკის. შემდეგ გაკვეთილზე ჯგუფები იცვლებოდა საგნების მიხედვით, ანუ სამი სასწავლო საათის განმავლობაში ტარდებოდა სამი საგნის გაკვეთილი, მაგრამ 10-10 ბავშვთან. ერთადერთი, ამ შემთხვევაში, მეტი მასწავლებელი დაგვჭირდება. ვფიქრობ, ეს სრულიად შესაძლებელია, თუნდაც ქვეყნის დღევანდელი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე. ის თანხა, რაც სქემებში და ტრენინგებში იხარჯება, ამისთვისაც საკმარისი იქნება. როცა 45 წუთის განმავლობაში, 10 ბავშვთან მუშაობ, შეუდარებლად მეტი საშუალება გაქვს ინდივიდუალურად ჩაწვდე თითოეულის პრობლემას, საგნის ათვისებაც უკეთ ხდება და შედეგიც, რასაკვირველია, გაცილებით ეფექტური იქნება. ეს, რაც პირველი მომივიდა თავში აზრად. მეორე, იმისთვის, რომ ბავშვს არ დასჭირდეს რეპეტიტორი, სკოლასთან, უფროს კლასებში მაინც, აუცილებლად უნდა არსებობდეს ინტერესების მიხედვით

## სტუმარი

დაყოფილი, ერთსაათიანი წრეები, ჯგუფები, სადაც მოსწავლეები, უკვე გამოხატული ინტერესების მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ შეიკრიბებიან და არასაპროგრამო თემებზე ფიქრითა და საუბრით დაკავდებიან. მაგ., ბავშვებს უყვართ ხელოვნება. მოგეხსენებათ ამ საგნის გაკვეთილებზე სკოლაში რას ასწავლიან – მუსიკას ან ხატვას, მაგრამ არავინ ასწავლით მათ კინემატოგრაფს, რომელიც სინთეზური ხელოვნებაა, რომელიც მუსიკასაც, ხატვასაც, გამოსახულებასაც, არტისტობასაც, სარეჟისორო ხელოვნებასაც აერთიანებს. ასეთი ჯგუფები თუ წრეები, საშუალებას მისცემს კინო ან თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვებს, შეიკრიბონ, ისაუბრონ დრამატურგიაზე, განიხილონ ფილმები ან ერთად ნახონ სპექტაკლი, მერე მოვიდნენ და იმსჯელონ მასზე, ოღონდ, მასწავლებელთან ერთად. რა დონეზეც მათ შეუძლიათ, გაარჩიონ სცენოგრაფია და ა.შ. იქ, თუ კარგი ხატვის მასწავლებელიც აღმოჩნდება, ხატვასაც ასწავლით. ასეთ ბავშვებს, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაბარება რატომ უნდა გაუჭირდეთ (რა თქმა უნდა, იმასაც გააჩნია, როგორი იქნება განხილვები და როგორ მოექცევა იმ დარგის პროფესიულ ჩარჩოებში), რატომ უნდა დასჭირდეთ რეპეტიტორი?

მესამე ის გახლავთ, რომ პრინციპულად უნდა შეიცვალოს სასკოლო პროგრამები. გადავხედე, მაგალითად, ისტორიის სახელმძღვანელოებს და, პირადად მე, წაკითხვაც კი არ მომინდა. ახლა წარმოიდგინეთ 12-13 ან 15 წლის ბავშვს რატომ მოუნდება მისი წაკითხვა. არაფერს არ ვერჩი ავტორებს, მაგრამ პრინციპულად სხვაგვარადაა მისაწოდებელი ეს მასალა ბავშვებისთვის. სახელმძღვანელო უნდა დაიწეროს ბავშვის ასაკის შესაბამისად, ვგულისხმობ შინაარსს, გადმოცემის ენას, ფორმას. არ არის აუცილებელი ისტორიის ტექსტი დიდი სამეცნიერო ხასიათის იყოს. ისტორია შეიძლება კარგად დაიყოს ეპიზოდებად, ერთმანეთს დაშორდეს ქრონოლოგიური და ჰეროიკული ისტორიები. მოსაგონებელია ეს ფორმა და, ბუნებრივია, მე რეცეპტს ვერ გამოვწერ, მაგრამ ის, რაც არის, ფაქტია, გაუგებარი, არამიზიდველი და წარმოუდგენლად მოსაწყენია. არანაირ ხალისს და ინტერესს არ გაგიჩენს ეს სახელმძღვანელოები ამ დარგის მიმართ. ამიტომ, ვფიქრობ, სასკოლო პროგრამები რადიკალურადაა შესაცვლელი და, შესაბამისად, სახელმძღვანელოებიც. მიდგომაა არასწორი – ჩვენ ვცდილობთ ბავშვს რაღაც ჩავუტენოთ ტვინში (ესეც კომუნისტური ინერციაა). თვითონ ბავშვს რომ გავუჩინოთ ინტერესი, ამაზე საერთოდ არავინ ფიქრობს. განათლება ხომ ის არ არის, რასაც სახელმძღვანელოს ერთ ქვეთავში წაიკითხავ, იქ წაკითხულმა ინტერესი უნდა აღგიძრას, რომ დამატებით სხვა ინფორმაციაც მოიძიო ამის შესახებ, თუნდაც ინტერნეტში, ან სადღაც რუკა მოძებნო და ჩაიხედო, ან თუ რომელიმე ისტორიული პირია ნახსენები, მისი თავგადასავალი წაიკითხო და ა.შ. აი, ეს ყველაფერი, რაც გამახსენდა, კომპლექსში თუ განხორციელდა, მერე ვნახოთ, იქნება თუ არა კიდევ რეპეტიტორობა საჭირო.

**– არიან თუ არა ბავშვები, ახალგაზრდები ზედმეტად პოლიტიზებულები?**

– არა, მე სულ არ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბავშვები და ახალგაზრდები ზედმეტად პოლიტიზებულები არიან. არც ჩემს ახალგაზრდობაში ვიყავით ზედმეტად პოლიტიზებულები, მე სულ არ ვარქმევ პოლიტიზებულობას იმას, რომ დამოუკიდებლობის იდეებით ვიყავით შეპყრობილი, ეს პოლიტიკა არ არის, ეს პატრიოტიზმის გარკვეული ნაირსახეობაა. არა მგონია, თანამედროვე ახალგაზრდობა ზედმეტად პოლიტიზებული იყოს, გარშემო ძალიან ბევრი ახალგაზრდა მყავს - ჩემი შვილების მეგობრები, ყოფილი მოსწავლეები. პირიქით, მგონია, უფრო საზოგადოებრივად მოაზროვნეები არიან და უფრო მეტს ფიქრობენ სოციალურ პრობლემატიკაზე. მაგალითად, რამდენიმე ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული გოგონა, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სოციალურ აქტივობებს ახორციელებს, სოციალური ქსელებიც კი გამოიყენეს იმისთვის, რომ დაეხმარონ ადამიანებს - ჯერ პოულობენ გაჭირვებულ ადამიანებს და მერე მათთვის პოულობენ ადამიანებს, რომლებიც დაეხმარებიან – ზოგს ოპერაციის გაკეთება სჭირდება, ზოგს სხვა სახის დახმარება. ამას, რასაკვირველია, აბსოლუტურად, უანგაროდ აკეთებენ, ერთადერთი ინტერესი სოციალური სოლიდარობის პრეცედენტების გაჩენისა და სოციალური სოლიდარობის კულტურის დამკვიდრებაა. ასე უფრო აზროვნებს თანამედროვე ახალგაზრდობა. რაც შეეხება მათ გართობას, დროის გატარებას თუ შემოქმედებითად დასვენებას, პრობლემაა და ძალიან დიდხანს იქნება, იმიტომ, რომ ამას ვერ უშველის თუნდაც ბევრი ფულის დაბანდება. ეს კულტუროლოგიური მოვლენაა, თვითონ ახალგაზრდობამ უნდა გააჩინოს ამის მოთხოვნილება და მერე უკვე ვიღაც ჭკვიანმა, ფულიანმა და განათლებულმა ადამიანებმა (თუ ასეთები გამოჩნდებიან), ეს მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ. აქ სახელმწიფო ძნელად, ნაკლებად ჩაერევა. ამიტომ, მე ისევ მგონია, თუ გვინდა რომ ისეთივე ცენტრები გაჩნდეს საქართველოში, როგორც როკფელერის ცენტრია, სადაც შერწყმულია ერთმანეთთან განათლება, კულტურა, სადაც „პაფსაც“ არის და ყველაფერი, რაც შეიძლება ახალგაზრდას და თინეიჯერს მოუნდეს. ამასთანავე, მგონია, რომ ამ ტიპის გართობის და დასვენების კულტურის შემოტანა ძალიან პატარა ასაკიდან უნდა დაიწყოს.

რაც მინახავს და მომწონებია, ის არის, რომ მაგალითად, აშშ-ში, გერმანიაში (ალბათ ასეა შედარებით განვითარებულ ქვეყნებში), ძალიან ბევრი გაკვეთილი ტარდება საჯარო სივრცეებში. ძალიან პატარა ასაკიდან ბავშვები უკვე დაყავთ მუზეუმებში და აბსტრაგირებულად კი არ ელაპარაკებიან, თუნდაც ქვეყნის წარსულზე, არამედ მუზეუმში სხედან, შესაბამის განყოფილებაში და საკუთარი თვალით უყურებენ ყველაფერს. ვიღაც მეტყვის, კარგი ახლა, 7 წლის ბავშვმა წიგნში დახატული სურათითაც შეიძლება კარგად აღიქვას ყველაფერიო. კი, ბატონო, შეიძლება სურათითაც კარგად აღიქვას, თუ კარგი რეპროდუქციაა, მაგრამ სულ სხვაა ის გარემო და აბსოლუტურად სხვა – საკლასო ოთახის ატმოსფერო. მუზეუმის ფონი, სიჩუმე, იქ ხმაც სხაგვარად ისმის, სხვა სუნი დგას, სხვა აურა ტრიალებს. ადამიანები ამით საჯარო სივრცეებში მსჯელობას ეჩვევიან; გარდა ამისა, ეჩვევიან იმასაც, რომ აქ ხმამაღლა და ყვირილით კი არ უნდა ილაპარაკო, არამედ წყნარად და მშვიდად უნდა გამოხატო შენი აზრი; სწავლობენ იმასაც, რომ არ უნდა დააზიანონ ექსპონატები და ა.შ. უამრავი რამის ჩამოთვლა შეიძლება, როგორ უნდა მოიქცე საჯარო სივრცეში. აი, ეს კულტურა ინერგება იქ, ამასთან ერთად, დამატებით, სოციალურ ჩვევებსაც უვითარებს. ალბათ, გავა წლები და გაჩნდება მოთხოვნილება, რომ ჩვენც, სადღაც სამზარეულოში კი არ ვიმსჯელოთ ფილმზე ან მუსიკალურ ნაწარმოებზე, არამედ საჯარო სივრცეში შევხვდეთ ერთმანეთს, მაგალითად, გია ყანჩელის ფონდში. იქ ჩვეულებრივად შევიაროთ იმისთვის, რომ იმ დღეს მსჯელობა იქნება რაღაც ახალზე, ან დათო გოჩიაშვილის ბოლო კონცერტის, ან ბოლო დისკის შესახებ. ეს აბსოლუტარად სხვა განწყობას შექმნის, მოგინდება იქ წასვლა. სოციალური ქსელები რატომ გახდა ასეთი პოპულარული? რაღაცის თქმა და გაზიარება რომ გინდა მეგობრებისთვის, დღეს ეს სივრცე გაქვს და, ალბათ, დარჩება სივრცედ, სადაც აზრს ვუზიარებთ ერთმანეთს. გაჩნდება კიდევ სხვა სივრცეებიც, სადაც წახვალ და თანამოაზრეებთან ისაუბრებ და თუ ეს კულტურა შემოვა ჩვენთან, კარგად გაერთობიან ახალგაზრდებიც და ასაკოვნებიც.

**– ჩვენი პრობლემების სათავე განათლებისა და აღზრდის დეფიციტია, ჯერ კიდევ ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხით გამოწვეულ კოშმარში ვცხოვრობთ, ვფიქრობთ, რომ ტრადიციებს გვართმევენ, ჩვენი აზროვნება ისევ რადიკალურად განსხვავებულია დანარჩენი სამყაროს ადამიანების აზროვნებისგან. თქვენი აზრით, როგორია ჩვენი საზოგადოება?**

– ჩვენ საკმაოდ ჩაკეტილი საზოგადოება ვართ, ჩვენზე ჩაკეტილი საზოგადოებებიც არსებობენ და მინახავს მთელი რიგი ქვეყნები, უბრალოდ, არ მინდა დასახელება. მაგრამ ჩვენ წარმოუდგენლად, შეუდარებლად ჩაკეტილი საზოგადოება ვართ. მაგალითად, სლოვაკებთან (რომ აღარ ვილაპარაკო განვითარებულ ევროპულ ქვეყნებზე) ან თუნდაც რუმინელებთან შედარებით, ჩაკეტილები ვართ საკუთარ თავში. ესეც აღზრდის და არასწორი განათლების ბრალია. მარტივ მაგალითს მოვიტან, როცა შუა საუკუნეების ისტორიას ასწავლის – დავით აღმაშენებლის ან თამარის პერიოდს – მასწავლებელი, რა თქმა უნდა, აღფრთოვანებული უხსნის მოსწავლეებს, რა მაგრები ვიყავით და „ვაზანზარებდით“ ყველაფერს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, მაგრამ რა ხდება ამ დროს გარშემო სამყაროში, ამის შესახებ არაფერს ეუბნება. სინამდვილეში, კიდევ უფრო აღვაფრთოვანებთ ბავშვს, თუ ვეტყვით, რომ მაგალითად, იმავე მე-12 საუკუნეში, როცა თამარის ეპოქა ზენიტშია, ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგებით ევროპა ძალიან აწეწილ-დაწეწილია, საქართველო კი არის ქვეყანა, რომლის მოქალაქეობაც და რომელში ცხოვრებაც წარმოუდგენლად მიმზიდველია; რომ საქართველოს ამ დროს ჰყავს არაქართველი მთავარსარდალი, ზაქარია მხარგრძელის სახელით რომ ვიცნობთ; რომ ამ დროს საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრებით, უკვე 300 წელზე მეტია, მოფენილია ქრისტიანული სამყარო; ამ დროს ქართველი მეცნიერები, მთარგმნელები მოღვაწეობენ არა მარტო საქართველოში, არამედ სხვადასხვა უცხოურ ქვეყნებში. აი, ამას არ ვეუბნებით ბავშვებს და ამიტომ ვკეტავთ მათ თვალსაწიერს. ასევე, არ შეიძლება ქართული ლიტერატურა ასწავლო ამოგლეჯილად. ილიას ლექსს რომ ვასწავლით – „ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულში“, იქვე მხოლოდ ის კი არ უნდა უთხრას მასწავლებელმა, რომ ჯუზეპე გარიბალდი იტალიაში აჯანყების მეთაური იყო, არამედ გააცნოს ის ვითარება, რაც იმ დროის იტალიაში იყო და აუხსნას, რატომ ეხმაურება ილია ამ აჯანყებას. ეს აუცილებლად უნდა ასწავლო ან ამ ამბის წაკითხვის სურვილი მაინც უნდა აღუძრა. უბრალოდ, ეს გამახსენდა, თორემ ასეთი უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება. სწორედ ეს იყო გურამ რამიშვილის სწავლების მეთოდის ფანტასტიკურობა, იქ არა მხოლოდ გერმანულ ენას სწავლობდნენ ბავშვები, არამედ სწავლობდნენ გერმანულ კულტურას და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი შესაბამის ქართულ კულტუროლოგიურ პერიოდთან კავშირში ისწავლებოდა – ბავშვები იგებდნენ, რა ხდებოდა ამ დროს გერმანიაში, საქართველოში და ევროპაში. ამიტომ ეხსნებოდათ აზროვნება. აზროვნება ისეთი რამ არის, თუ მას გასაქანი არ მიეცი, რომ განვითარდეს და გაიშალოს, დარჩება იქვე და ამით დამთავრდება, არადა გონება ყველა ადამიანს აქვს. მოკლედ, სწორედ განათლების და აღზრდის პრობლემაა, რომ ასეთი ჩაკეტილი საზოგადოება ვართ. ეს ახლაც ეტყობა ჩვენი პოლიტიკოსების, ჩვენი ე.წ. ექსპერტების მსჯელობას, სულ რაღაც ლოკალურზე მსჯელობენ და რა ხდება ირგვლივ, ნაკლებად აინტერესებთ.

როგორ ცხოვრობს დღეს ევროპელი – ესეც მარტივი მაგალითია, სულ რამდენიმე წელია, რაც სლოვაკები ევროკავშირში შევიდნენ (სლოვაკებზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ბევრი მეგობარი მყავს, ხშირად ჩავდივარ იქ და საზოგადოებასთანაც მაქვს ურთიერთობა). იქაურ ახალგაზრდებში პრიორიტეტი უკვე ის კი აღარ არის, რომ ინგლისური, გერმანული, იტალიური, ესპანური იცოდნენ (ეს თავისთავად), მათი პრიორიტეტია ალბანური და ხორვატული ენები ისწავლონ, იმიტომ, რომ სამუშაოს შოვნის შანსი ამ ქვეყნებში იზრდება, ეკონომიკური აქტივობები იქ ბევრად მეტია. ამიტომ ცდილობენ ახალგაზრდები, იქაური ენები ისწავლონ, რომ დასაქმება შეძლონ. ანუ მათი და ჩვენი ახალგაზრდების პერსპექტივა განსხვავებულია. მეორეც – მაგალითად, იქაური სტუდენტი, ზაფხულის არდადეგებზე, დროებით სამსახურს ეძებს, ამიტომ პარალელურად სწავლობს მიმტანის ან ანიმატორის კურსებზე და ა.შ. ის შეიძლება გამოვიდეს კიბერნეტიკოსი, ისტორიკოსი, მაგრამ პარალელურად სწავლობს პროფესიას, რომ ზაფხულში საბერძნეთში წავიდეს, რამდენიმე თვე იმუშაოს, ფული დააგროვოს, რომელსაც შემდეგ ან სწავლაში გადაიხდის, ან გასართობად დახარჯავს. ამით იმის თქმა მინდა, რომ მისი გონება სხვაგვარადაა გახსნილი, სხვა დიაპაზონში აზროვნებს და სხვა დიაპაზონში ვაზროვნებთ ჩვენ. მართალია, ის ევროკავშირის წევრია და ქვეყნებში გადაადგილება არ უჭირს, თუმცა თურქეთში გადაადგილება ხომ ჩვენს ახალგაზრდებსაც არ უჭირთ, მაგრამ ჩვენი აზროვნება ჩაკეტილია – ქართველი ოფიციანტად გაუშვებს შვილს თურქეთში? მეტი საქმე არა აქვს. ესეც აღზრდის პრობლემაა, ესეც, ალბათ, სკოლის ასაკიდან უნდა ისწავლოს, რომ არანაირი შრომა სათაკილო არ არის. იმისთვის, რომ დიაპაზონი გაიხსნას, სკოლის ასაკიდან უნდა ვასწავლოთ ახალგაზრდებს, რომ მარტო ჩვენ არ ვართ ამ ქვეყანაზე და დედამიწა ჩვენ გარშემო არ ტრიალებს. ძალიან დიდია ეს სამყარო, უსაზღვროდ მრავალფეროვანი და საინტერესოა, ადამიანები, ზოგადად, კარგი ვინმეები არიან და არ შეიძლება, ვიღაცას ზემოდან ცხვირაწეულმა უყურო იმიტომ, რომ ზუსტად იმავე ღირსებების, თვისებების და მოთხოვნილებების მატარებელი არ არის, როგორც შენ. ასეთი დამოკიდებულება გარკვეული ერების და გარკვეული ეთნოსების მიმართ, ესეც აღზრდის პრობლემაა, ესეც ჩაკეტილობის ბრალია და კიდევ უსასრულოდ შეიძლება ამაზე ლაპარაკი.

რამდენიმე წლის წინ, როცა ქართული ეროვნული საგანძურის მოგზაურობა იგეგმებოდა მსოფლიოში, რა ამბავი ატყდა, რომ საქართველოდან სიწმინდე გადის. არადა, უკეთილშობილესი მიზანი იყო – ქართული ხელოვნების შედევრები ენახა მთელ მსოფლიოს, ნიუ იორკით დაწყებული, ტოკიოთი დამთავრებული და ამას წინ აღუდგა მთელი ქვეყანა, იმის გამო, რომ ეროვნული იდენტობის საფრთხე იგრძნო. გეკითხებით, ეს ნორმალურია? გარდა ჩაკეტილი და შეზღუდული საზოგადოებისა, ვის შეიძლება ეს აზრად მოუვიდეს თავში? მაშინ, როცა ქართველები გაიძახიან ეროვნულ იდენტობას და მართლმადიდებლობას ვკარგავთო, სულ მინდა ხოლმე ხმამაღლა ვიყვირო – გაიხსენეთ ვინ იყო ქართლის გამაქრისტიანებელი პირველი მეფე და გაახილეთ თვალი. ესეც ძალიან პატარა ასაკიდან უნდა დავიწყოთ. ვიღაც წაიკითხავს ამას და იტყვის, რომ ჩვენი შვილების კოსმოპოლიტებად გაზრდა უნდათო, ვინც ამას იტყვის, რეკომენდაციას ვაძლევ, წაიკითხოს ვაჟა-ფშაველას წერილი „ეროვნულობა და კოსმოპოლიტიზმი“ და უკეთ მიხვდება, რისი თქმა მინდა. იცით, ბავშვებს როგორ ვზრდით? ოჯახი-სამშობლო და იქით რა ხდება არ ვეუბნებით. ამიტომ, ასეთი ბავშვი, როგორც კი გამოიხურავს სახლის კარს, სადარბაზოში, პირველ რიგში, რასაც გააკეთებს – გადააფურთხებს, ნაგავს დაყრის, ნაგავში გაივლის და ქუჩაში გავა. იქაც ზუსტად ისევე იქცევა – ნაგავს მდინარეში ჩაყრის, ლუდს დალევს და ბოთლს მოისვრის. მას არავინ ასწავლა, რომ ეს არის სამყარო, რომელიც შენ კი გეკუთვნის, მაგრამ შენ გარდა ყველას ეკუთვნის – დანარჩენ 8 მილიარდ ადამიანსაც. მას უნდა ასწავლო, რომ მტკვარი ამ ნაგავს კასპიის ზღვაში ჩაიტანს, იქ ამით ზუთხი მოკვდება და ა.შ. ასე უნდა აუხსნა, რომ არ იფიქროს, მე გადავაგდე და ჯანდაბას, წაიღოს ნაგავი აზერბაიჯანშიო.

**– რა კრიტერიუმებით აარჩიეთ სკოლა შვილიშვილისთვის?**

– სკოლა რაღაც განსაკუთრებული კრიტერიუმით არ მიძებნია. შევარჩიე ერთ-ერთი კერძო სკოლა, სადაც ბევრი რამ, რაზეც ვლაპარაკობდით, აღმოვაჩინე, მაგრამ ჩემი ოჯახის ფინანსებისთვის ძალიან ძვირი აღმოჩნდა, დიდი თანხა იყო გადასახდელი და ვერ შევძლებდით. ამიტომ ხერხი ვიხმარე და ჩემი ძველი ნაცნობების დახმარებით, დავიწყე კარგი პირველი კლასის მასწავლებლის ძებნა, ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში. ბუნებრივია, მასწავლებელს ვარჩევდი არც კარგი ცოდნით და არც კარგი გარეგნობით, არამედ იმ თვისებებით, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა ბავშვებთან. გამიმართლა და ასეთი ვიპოვე, ჯერჯერობით, ბავშვი ძალიან ბედნიერია და კარგი ურთიერთობა აქვს მასწავლებელთან. ანუ, სკოლა კი არა, კარგი პირველი კლასის მასწავლებელი შევარჩიე.

**– დაბოლოს, გვინდა „ახალ განათლებაში“ მუშაობა გაიხსენოთ, რას ნიშნავს თქვენთვის ეს გაზეთი და საინტერესოა თქვენი შეფასება – 17 წლის წინათ წამოწყებულ საქმეს როგორ ვაგრძელებთ?**

– ბევრი რამის გახსენება შემიძლია, 4 წელი ვიმუშავე „ახალ განათლებაში“. თავიდან, როცა დამიძახეს, მითხრეს, რომ განათლების სამინისტროს უნდოდა შეექმნა გაზეთი პედაგოგებისთვის, რომელიც იქნებოდა ძველი, ასე ვთქვათ, კომუნისტური გაზეთის – „სახალხო განათლების“ ალტერნატივა – უფრო თანამედროვე, უფრო აქტუალური პრობლემატიკით და მასწავლებლებისთვის საინტერესო თემებით. ასეთი გაზეთის შექმნა ვცადეთ და საკმაოდ დიდ ნაწილში გამოგვივიდა, იმიტომ რომ, ვისაც ახსოვს პოლემიკა, რაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იყო „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ, ამ პოლემიკაში მონაწილე ადამიანები; პრობლემური წერილები, რომლებსაც თავად პედაგოგები წერდნენ და თვითონ ყვებოდნენ იმ პრობლემების შესახებ, თუნდაც რაზეც ახლა ამ ინტერვიუში ვლაპარაკობ და დღესაც გადაუჭრელია, იმავე რეპეტიტორობის პრობლემაზე წერილები; ჩემი აზრით, ძალიან კარგი სტატიები, სადაც დამატებითი მასალა ეძლეოდათ პედაგოგებს სხვადასხვა დისციპლინებში – ეს ყველაფერი, მე მგონი, იყო განსხვავებულიც და სასარგებლოც. ისიც მახსოვს, რომ რედაქციაში ორი კაცი ვიყავით და დანარჩენი ქალები, სკოლასთან და პედაგოგიკასთან დაკავშირებული სენი ჩვენც გვჭირდა. მახსოვს ჩვენი მეგობრები – თენგიზ მირზაშვილის სტუმრობები და კამათი სხვადასხვა თემებზე. არ იყო ცუდი, ძალიან კარგი იყო. ეს ალტერნატივა რომ შევქმენით, ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ ეს გაზეთი დღესაც არსებობს და მშვენივრად აკეთებს თავის საქმეს.

ესაუბრა
**ლალი ჯელაძე**

რეგიონი

# საგანმანათლებლო ტრადიციები და თანამედროვე გამოწვევები

*მარტვილი, იგივე ჭყონდიდი, დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის კერაა. ჯერ კიდევ X საუკუნეში აქ მოღვაწეობდნენ ჰიმნოგრაფები – იოანე მინჩხი და სტეფანე სანანოიძე; იწერებოდა და ვრცელდებოდა უნიკალური სასულიერო თუ საერო ნაწარმოებები, სწორედ ამ მიწაზე, მწიგნობართუხუცესის, გიორგი ჭყონდიდელის ზედამხედველობითა და მისივე იდეებით, აღიზარდა დავით აღმაშენებელი; ამ კერას უკავშირდება ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელის მოღვაწეობაც.*

*კიდევ უფრო ადრე ჭყონდიდი წარმართული რელიგიური ცენტრი იყო. მაღალ ბორცვზე იდგა ბომონი ჭყონის (მუხის) უზარმაზარი ხე, როგორც ნაყოფიერების, გამრავლებისა და ოჯახის კეთილდღეობის მფარველი წარმართული სალოცავი. სწორედ ამ ადგილას აღიმართა VII საუკუნეში მარტვილ-ჭყონდიდის ტაძარი ანდრია პირველწოდებულის სახელზე, რომელმაც სამეგრელოში ქრისტიანობა იქადაგა. მონასტერში იყო კრიპტერია – გადამწერ ბერთა სამყოფი. ითარგმნებოდა წიგნები, იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები.*

*მართალია, ეს მცირე ექსკურსი პირდაპირ კავშირში არ არის მარტვილში ჩვენს სტუმრობასთან, მაგრამ განათლების სფეროში დღეს მიმდინარე რეფორმების, ან არსებული პრობლემების ფონზე, წარსულიც, თუნდაც ასე შორეული, შესაძლოა ყველაზე საიმედო ფუნდამენტიც იყოს სამომავლოდ.*

დღეისათვის მარტვილის მუნიციპალიტეტში 37 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, აქედან 7 – საბაზო საფეხურის, 2 – კერძო სკოლა. 4000-ზე მეტი მოსწავლის აღზრდას 872 პედაგოგი ემსახურება. მარტვილში განათლების მინისტრთან შეხვედრისას ნათლად გამოიკვეთა ორი საკითხი – პედაგოგთა განსაკუთრებული ინტერესი პროფესიული განვითარების სქემაში მათი ჩართვისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად და ხარისხიანად განხორციელება. რესურსცენტრის უფროსი **პაშა (მაკა) გულორდავა** განათლებით პედაგოგია (ქართულ-რუსული ფილოლოგია, დამთავრებული აქვს იურიდიული ფაკულტეტიც) 19-წლიანი გამოცდილებით, 2014 წლიდან, კონკურსის წესით, ამ თანამდებობაზე მუშაობს. ჩვენი ინტერვიუც განათლების ხარისხის ამაღლების აუცილებლობაზე საუბრით იწყება. *„სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ახალგაზრდა, რომელმაც სკოლაში ხარისხიანი განათლება მიიღო, ანუ მისი ცოდნა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს – ეს არის სკოლის მთავარი ამოცანა. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი პედაგოგების (ქვეყნის მასშტაბით) პროფესიული დონე ამ მხრივ დამაკმაყოფილებელია. წინა წლებში ჩატარებული სასერტიფიკაციო გამოცდებიც ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა. დღეისთვის რაიონში მხოლოდ 200-მდე სერტიფიცირებული პედაგოგი გვყავს, თუმცა პროფესიული განვითარების ახალ სქემაში ყველა მასწავლებელია ჩართული. მე, როგორც, რესურსცენტრის უფროსს და რაიონის 4 მასწავლებელს, ჩაგვიტარდა ტრენინგები ამ საკითხის ირგვლივ, რათა კარგად გავრკვეულიყავით ყველა დეტალში, ყველა იმ მოთხოვნაში, რაც პედაგოგმა სტატუსის ასამაღლებლად, საფეხურიდან საფეხურზე გადასასვლელად უნდა დააკმაყოფილოს. ეს ინფორმაცია, შეხვედრებითა და ტრენინგებით, ელექტრონული ვერსიების სკოლებში გადაგზავნით, ყველა პედაგოგისთვის ცნობილი და ხელმისაწვდომია. ახლა ბევრი რამ მათ ძალისხმევაზეა დამოკიდებული“* – გვითხრა ქალბატონმა პაშამ.

პაშა (მაკა) გულორდავა

*მედია პროექტ „ეტალონის“ გამარჯვებული ქრისტინე ჯიჯავა, ლედგებეს საჯარო სკოლა*

*8 ოქტომბერს, მარტვილის ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მხარდაჭერით, მარტვილის სახალხო პროექტის – „ეტალონი“ მოსწავლის გამოსავლენად, ინტელექტუალური შეჯიბრება ჩატარდა. თამაშში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 34 მოსწავლე მონაწილეობდა. „ეტალონი“ მოსწავლე გახდა სალხინოს საჯარო სკოლის მოსწავლე ცოტნე ცაავა*

*სერგიეთის საჯარო სკოლა რეაბილიტაციამდე*

*სერგიეთის საჯარო სკოლა  რეაბილიტაციის შემდეგ*

*საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის წარმატებით დამთავრებისთვის, პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში, 19 მოსწავლეს (მარტვილის №1,მარტვილის №2, ბ.ხულორდავას სახ. სალხინოს, გაჭედილის, ჭყონის №1, ზედა ნაგვაზაოს, ოჩეს და წაჩხურას საჯარო სკოლები) კომპიუტერები გადაეცათ საჩუქრად*

მეორე საკითხი, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაა. განათლების სამინისტრო, წლების განმავლობაში, ცდილობს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს სასკოლო შენობები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სკოლა საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ რეაბილიტაციას, ახლის აშენებას, შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას. გამონაკლისი არც მარტვილია. რესურსცენტრის უფროსი ამბობს, რომ მასთან თავს იყრის ყველა ინფორმაცია, რაც სკოლების საჭიროებას ეხება, მათ შორის, ამ მიმართულებითაც. სახელმწიფოს მხრიდანაც დაუყოვნებლივ ხდება რეაგირება. წელს ოჩეს საჯარო სკოლას ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა, სერგიეთის, აბედათის და კინიის სკოლებს კი სრული – სულ 650 000 ლარის სამუშაო შესრულდა; გადაიხურა ლეცავეს სკოლა, მალე დასრულდება ფანჯრების ჩასმის სამუშაოები 5 სკოლაში – დოშაყეს, ნახურცილაოს, ინჩხურის, ბადას და პირველი ნამიკოლაოს. რაც შეეხებათ სოფელ ნაგებერაოს სკოლის მოსწავლეებს, სასწავლო წელი მათ სკოლის ერთ ფლიგელში დაიწყეს, თებერვლიდან გადავლენ ონოღიის სკოლაში და დაიწყება კიდეც სკოლის შენობის დემონტაჟი, რომლის ადგილზეც ახალი, 120 მოსწავლეზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების, ადაპტირებული სკოლა აშენდება, ზუსტად ისეთი, როგორიც 2013 წელს აშენებული ნახუნაოს საჯარო სკოლაა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 37-ვე სკოლას სასკოლო ავტობუსები ემსახურება, რაც გაცდენა-დაგვიანებებზეც აისახა და მშობლების განწყობაზეც – სახლიდან სკოლამდე და უკან, მათი შვილების უსაფრთხო და დროული გადაადგილება უზრუნველყოფილია. ერთ-ერთ სოფელში, მაგალითად, 3 კმ-ის დაშორებით, 1 ბავშვს ატარებს ავტობუსი; 6 კმ-იან გზაზე – 2 ბავშვს, 11კმ დაშორების სოფლებიდან და უბნებიდანაც გადაჰყავთ სკოლაში მოსწავლეები. ამ სერვისით 2012-2013 სასწავლო წლიდან სარგებლობენ მარტვილის რაიონის მოსწავლეები და მათი მასწავლებლები.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბრეთ რესურსცენტრის უფროსთან – ეს რაიონში ინკლუზიური განათლების მხრივ შექმნილი ვითარებაა. ამბობს, რომ ძალიან მადლიერია რეგიონული მულტიდისციპლინური გუნდის, რომელიც განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება ამ ძალიან სათუთ თემას. დღეისათვის რაიონის 14 სკოლაში მიმდინარეობს ინკლუზიური განათლება, 3 სკოლაში შერჩევის, ხოლო 6-ში შესაფასებელი პროცედურა მიმდინარეობს. სამწუხაროდ, მათთვის აუცილებელი ფიზიკური გარემო, ჯერჯერობით, ყველა სკოლაში  არ არის, ახალაშენებულის გარდა, მაგრამ მინიმალური პირობები მაინც აქვთ – 2 შინსწავლების რეჟიმზეა გადასული.

ჩვენი იქ ყოფნისას გუნდის წევრები – **ცირა ნარმანია** და **ფატიმა ახალაია** კომისიის სხდომას მართავდნენ ამ საკითხზე. იქვე გავეცანი ქალბატონ ცირას ავტორობით დაბეჭდილ ქართულისა და მათემატიკის სახელმძღვანელოებს სსსმ ბავშვებისათვის. წიგნი, პირველ რიგში, მაღალი პოლიგრაფიული ხარისხითა და უხვი თვალსაჩინო მასალით გამოირჩევა. შინაარსის შესახებ კი თავად ავტორი, ცირა ნარმანია გვიამბობს: *„2003 წლიდან ვმუშაობ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან. ამ სახელმძღვანელოებში 12 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებაა თავმოყრილი, რომელსაც სსსმ ბავშვების მშობლებსა და მასწავლებლებს ვუზიარებ. მათში მოცემულია აქტივობები წერა-კითხვის სწავლების, მეტყველების განვითარების, მათემატიკის საფუძვლების სწავლებისა და სამყაროს შეცნობისათვის.*

*სახელმძღვანელო – **„ქართული ენის განმავითარებელი კრებული“** – ქარული ენის სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებს მოიცავს და ორიენტირებულია ისეთი უნარების განვითა-*

## რეგიონი

*რებაზე, როგორიცაა აღქმა, ყურადღება, აზროვნება, მეხსიერება, მოტორული უნარების განვითარება. სახელმძღვანელოში სულ 500 დავალებაა მოცემული და 50 სიტყვის შესწავლას უზრუნველყოფს, მოიცავს 33-ვე ასობგერის წერა-კითხვის სწავლებას, სხვადასხვა სახალისო და საინტერესო აქტივობებით.*

*რაც შეეხება **„მათემატიკის განმავითარებელი სავარჯიშოების კრებულს“**, იგი სსსმ მოსწავლის აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს. კერძოდ: მარტივ კანონზომიერებებსა და სიდიდეებს შორის დამოკიდებულების ამოცნობის უნარის განვითარებას, სიტყვიერი აღწერილობის მიხედვით ფიგურის ამოცნობისა და მოდულის შექმნის უნარის განვითარებას; მოსწავლეები გაეცნობიან ნატურალურ რიცხვებს ათის ფარგლებში, შეუსაბამებენ რაოდენობას შესაბამის რიცხვს, ჩამოუყალიბდებათ მანძილის გაზომვისა და განსაზღვრის უნარი და სხვ. ეს ცოდნა და უნარი მათ სხვა საგნების შესასწავლადაც სჭირდებათ.*

*საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ვამბობ, კრებულებში მოცემული აქტივობები, საკმაოდ ეფექტიანია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისას. ამას იმ სკოლების სპეცმასწავლებლებიც ადასტურებენ, რომლებიც, უკვე ერთი წელია, იყენებენ მათ“.*

სახელმძღანელოები, 2014 წლის სექტემბერში, საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის სოციალური პროექტის – „სიცოცხლის ხე“ – დაფინანსებითა და განათლების სამინისტროს მხარდაჭერით, გამოიცა და იმ საჯარო სკოლებს გადაეცა უსასყიდლოდ, სადაც სსსმ ბავშვები სწავლობენ. პრობლემა ისაა, რომ მცირე ტირაჟის გამო, სკოლებმა მხოლოდ თითო ეგზემპლარი მიიღეს. რადგან სახელმძღვანელოები ერთჯერადი მოხმარებისაა, მასწავლებელს მათში მოცემული სავარჯიშოების შავ-თეთრი ქსეროასლების გამოყენება უწევს, რაც მუშაობას ნაკლებად ეფექტურს ხდის. სკოლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია სახელმძღვანელოების ხელმეორედ და მეტი ტირაჟით გამოცემა, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

იმედი გვაქვს, კერძო სექტორის წარმომადგენლები განსაკუთრებულ გულისხმიერებას გამოიჩენენ ამ ბავშვების მიმართ, თუმცა, ვფიქრობ, პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, სახელმწიფოზეა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ მან უნდა გამოხატოს თანადგომა იმ მოქალაქეებისადმი, რომელთაც სპეციალური საგანმანათლებლო რესურსები ესაჭიროებათ.

**მოამზადა ანა ფირცხალაიშვილმა**

*ბალდის საჯარო სკოლაში „მშვიდობის კორპუსმა“ მოხალისე მასწავლებლად დანიელ უილიამსი გამოგზავნა. მან, პარტნიორ მასწავლებლებთან ერთად, სკოლის დაწყებამდე, ორკვირიანი მოსწავლეთა ბანაკი მოაწყო. პირველი ნაწილი – Sport camp – ბიჭებისთვის, მეორე – Summer camp – ბიჭებისა და გოგონებისთვის*

## ინტერვიუ რექტორთან

# კარგ სტუდენტს დასაქმების პრობლემა არ აქვს

### რუბრიკის სტუმარია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, არჩილ ფრანგიშვილი

**– ბატონო არჩილ, რადგან უნივერსიტეტის ბიუჯეტს, ძირითადად, განსაზღვრავს სტუდენტების რაოდენობა, უმაღლესი სასწავლებელი დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი სტუდენტი მიიღოს. ხომ არ ხდება ეს ხარისხის ხარჯზე? მოგწონთ თუ არა დაფინანსების არსებული სისტემა და რამდენად აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მოთხოვნებს განსაზღვრული ფინანსები. არსებობს თუ არა დაფინანსების სხვა გზა ან სხვა პრინციპი? თქვენთვის რომელი იქნებოდა სასურველი?**

– ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ტექნოლოგიური ბაზა, რომლითაც სტუდენტებს ამა თუ იმ მიმართულებით ვასწავლით. ტექნიკური ბაზისთვის საჭიროა დიდი თანხები, რაც პირდაპირ კავშირშია სტუდენტთა რაოდენობასთან. ცოტა სტუდენტი რომ გვყავდეს, ვერ გავაკეთებდით იმ ლაბორატორიებს, რომელიც, გვაქვს. ეს არის ის თანხები, რომლითაც ივსება უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რომელიც პირველ რიგში, მიდის ტექნოლოგიურ გადაიარაღებაზე და ხელფასებზე, ამიტომ ვართ პირდაპირ დამოკიდებულები სტუდენტთა რაოდენობაზე. კიდევ ერთი, რომ არა პროგრამული დაფინანსება განათლების სამინისტროს მხრიდან, ტექნოლოგიების შეძენა გაგვიჭირდებოდა. რაც ეხება კითხვის მეორე ნაწილს, მოგვწონს თუ არა დაფინანსების არსებული სისტემა და რამდენად აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მოთხოვნებს განსაზღვრული ფინანსები – დაფინანსების სხვადასხვა წყაროზე უკვე გითხარით, კონკრეტულად: ეს არის გრანტი, პროგრამული დაფინანსება, რომელსაც ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ბიუჯეტისთვის.

**– კერძოდ, რა თანხებზეა საუბარი?**

– ძალიან სოლიდურ თანხებზეა საუბარი. ეს არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურისთვის, არამედ დანადგარებისთვის, ტექნოლოგიებისთვის და ა.შ. გათვალისწინებული დაფინანსებაა. მხოლოდ წელს დაახლოებით 14 მილიონი ლარი გაითვალისწინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნივერსიტეტის განვითარებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს გულისხმობს სამეცნიერო მიმართულებების განვითარებას და ტექნოლოგიური ბაზის სრულყოფას. უნივერსიტეტი, ასევე, ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, საიდანაც იღებს შემოსავალს. ვმონაწილეობთ სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში, ხელშეკრულებები გვაქვს დადებული მსოფლიოს წამყვან კორპორაციებთან, საიდანაც, დაკვეთის შესრულების შემდეგ, ვიღებთ შესაბამის თანხას.

**– იმ ფონზე, როცა გვესმის, რომ თურმე საქართველოში ყველაფერი უკან მიდის, ეს ცოტა უცნაურად ჟღერს...**

– ძალიან ცუდია, ვინმე თუ ასე ფიქრობს. შემიძლია არა ერთი მაგალითის მოყვანა, რაც საპირისპიროს დაადასტურებს. ამ დღეებში ჩამოდის სოლიდური დელეგაცია ცერნიდან, საუბარია ახალ დაკვეთაზე, რომელიც ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულდება მანქანათმშენებლობის მიმართულებით. აქ არის საუბარი ზუსტ მანქანათმშენებლობაზე, რაც ერთ-ერთი ურთულესი დარგია მსოფლიოში და სწორედ ეს დაკვეთა მოდის ტექნიკურ უნივერსიტეტში. გარდა ამისა, ჩვენ ძალიან ბევრი დაკვეთა გვაქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით – ეს არის პაკეტები იმავე ცერნისთვის. ამ ფონზე, თავისუფლად შემიძლია გითხრათ – თუ კონკურენტუნარიანი არაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დაკვეთას არავინ მოგვცემს, არ მეთანხმებით? ახლახან დუბნიდან გვქონდა დაკვეთა – კეთდება ახალი დამაჩქარებელი ე.წ. „ნიკა“ და მიწვეული იყვნენ ჩვენი სპეციალისტები. ეს სერიოზული დაკვეთა მხოლოდ დიზაინის შექმნას არ გულისხმობს (თუმცა, დიზაინიც ძალიან მნიშვნელოვანია), პრაქტიკულად, სამეცნიერო პროექტის გაკეთებას ნიშნავს. გარდა ამისა, დაკვეთა აქვე, საქართველოში, ჩვენს ბაზაზე უნდა შევასრულოთ. ეს პროდუქცია არის რკინა. თუ არა გაქვს შესაბამისი ბაზა, ამას ვერ გააკეთებ. ჩვენ გვაქვს ურთიერთობა ისეთ ქარხნებთან, როგორიცაა „ელიტა-ბურჯი“, საავიაციო ქარხანა, რომელთა ბაზაზე ვახორციელებთ სამეცნიერო პროექტებს. ახლა საუბარია სრულიად ახალ შეკვეთაზე ცერნიდან და დუბნიდან. გვაქვს ასევე შეკვეთები „ბოინგიდან“, „ნისანიდან“ და სხვადასხვა სერიოზული კორპორაციებიდან. კიდევ ვიმეორებ, თუ შესაბამისი სერიოზული ტექნიკური ბაზა არ არსებობს, არც დაკვეთა იქნება.

**– აბიტურიენტების გარკვეულ ნაწილს, რომლებმაც მინიმალური ზღვარი გადალახეს, წელს უარი ეთქვათ უმაღლეს სასწავლებლებში დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე. მისაღებია თუ არა თქვენთვის ეს გადაწყვეტილება და ზოგადად, რა აზრის ხართ მეორად ჩარიცხვებზე? გასულ წლებში გყავდათ თუ არა მეორადი ჩარიცხვის სტუდენტები და რამდენად კომფორტული იყო მათი ჩართვა სასწავლო პროცესში?**

– რას ნიშნავს მისაღებია თუ არა? ეს უნივერსიტეტების კომპეტენციას სცილდება. რაც ეხება მეორად ჩარიცხვებს, ამ მხრივ, უნივერსიტეტს არანაირი პრობლემა არ აქვს. ჩვენ გვქონდა მათი მიღების შესაძლებლობა. ვსაუბრობ 700 ადამიანზე. თუ მათ ჩააბარეს ის დისციპლინები, რაც ჩვენი მოთხოვნა იყო, ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. გასულ წლებში გვყავდა ასეთი სტუდენტები. მათ არანაირი უხერხულობა არ შეუქმნიათ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისთვის.

**– გაქვთ თუ არა ურთიერთობა საზღვარგარეთის სასწავლო-სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან, რომელ უნივერსიტეტებთან გაქვთ გაცვლითი და ერთობლივი, სტუდენტური, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამები?**

– საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს კავშირი აქვს სხვა ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებთან. ვთანამშრომლობთ ისეთ ცნობილ ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან, როგორებიცაა იენას ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი, ჰელბრონის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გრაცის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ბირთვული კვლევის ევროპული ორგანიზაცია, ევროპულ უნივერსიტეტთა ასოციაცია EUA, შავი ზღვის უნივერსიტეტთა ქსელი, იულიხის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, ვილნიუსის გედიმინას სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი, ბირთვული კვლევის ევროპული ორგანიზაცია (CERN), აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ), აიოვას უნივერსიტეტი (აშშ), მილანის უნივერსიტეტი, ლაკორუმიის უნივერსიტეტი (ესპანეთი), კიევის ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტი და ასე შემდეგ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მონაწილეობს პროექტებში: „ტემპუსი“, „ერასმუს მუნდუსი“ და „ერასმუს+“. ჩვენი უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ამ მხრივ, სასწავლო დაწესებულებების ფართო სპექტრია წარმოდგენილი. ჩვენს სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს და ადმინისტრაციულ პერსონალს საშუალება აქვთ განათლება მიიღონ და კვალიფიკაცია აიმაღლონ საუთჰემპტონის, ტრენტოს, ვარშავის, ბუდაპეშტის, დუბლინის, პრაღის ცნობილ უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს უნივერსიტეტებისაგან შემდგარი კონსორციუმის წევრია, ეს გახლავთ საქართველოსა და აშშ-ს შორის 2013 წელს ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში განხორციელებული პროექტი.

**– დღეისათვის ახალგაზრდების დასაქმება ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. ხომ არ აქვს უნივერსიტეტს რაიმე პროგრამა ამ მიმართულებით საკუთარი კურსდამთავრებულებისათვის?**

– პროგრამა არ არსებობს და არც შეიძლება იყოს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩვენ სასწავლო პროცესი გადაწყობილი გვაქვს ახალ მოდელზე, სადაც სწავლის ბოლო წელი გამიზნულია კონკრეტულ ორგანიზაციებზე, პოტენციურ დამკვეთებზე. მათთან შეთანხმებით ხდება მოდიფიცირება. აქედან გამომდინარე, ჩვენი კურსდამთავრებული საინტერესო ხდება მათთვის. მინდა გითხრათ, რომ კარგ სტუდენტს დასაქმების პრობლემა არ აქვს.

**– ხშირად სტუდენტები გამოთქვამენ პრეტენზიას საჭირო სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე არარსებობის გამო. არის თუ არა თქვენთან ეს პრობლემა და თუ ასეა, როგორ აგვარებთ?**

– არა, არავითარი პრობლემა არ არის და არც ყოფილა. პედაგოგების გარკვეული დატვირთვა გადადის ახალი წიგნების, ახალი მეთოდოლოგიების შექმნაზე, აქედან გამომდინარე, ჩვენ სრულიად განახლებულ მასალას ვაწვდით სტუდენტებს.

**– რას გვეტყვით სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ, აფინანსებს თუ არა უნივერსიტეტი მის საქმიანობას?**

– არ აფინანსებს და არც აფინანსებდა. სტუდაკავშირი დამოუკიდებელი რგოლია. თუ თქვენ გაინტერესებთ, იღებენ თუ არა გარკვეულ სახსრებს უნივერსიტეტიდან, მოგახსენებთ: უნივერსიტეტში არსებობს სპეციალური დეპარტამენტი, ეს არის ახალგაზრდული დეპარტამენტი, რომელსაც აქვს თავისი ბიუჯეტი, რაც გამიზნულია სხვადასხვა პროექტებისათვის. ცხადდება კონკურსი, კონკურსში გამარჯვებული, ჯგუფი იქნება ეს თუ ინდივიდი, პროექტის მიხედვით ფინანსდება. ეს არის პროექტის განხორციელების ხელშეწყობა.

**– გვიამბეთ საუნივერსიტეტო ფონდის საქმიანობის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში (წარმატებული სტუდენტების წახალისება, სოციალურად დაუცველთა დაფინანსება და ა.შ.).**

– მსგავსი ფონდი არსებობდა, რომელიც იყო ცენტრალიზებული. ახლა ფონდი ფაკულტეტებზე ფორმირდება. სხვადასხვა ფაკულტეტს სხვადასხვა ოდენობის თანხა აქვს. ჩვენ ვეხმარებით სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, დახმარება საკმაოდ დიდია.

**მოამზადა მაკა ყიფიანმა**

საუბრები ლიტერატურაზე

# სიცოცხლე იმად არ ღირს, რომ მისი გულისთვის კაცი შიშს მონად გაუხდე

## ჯემალ ქარჩხაძის „ანტონიო და დავითი“ – ანალიზი

ჯემალ ქარჩხაძე თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწერალია. მისი მოთხრობები და რომანები: „რაჰათ-ლუხუმი“, „იგი“, „ანტონიო და დავითი“ არავის დატოვებს გულგრილს. „ანტონიო და დავითი“ – ამ ლიტერატურული შედევრით მწერალი ახერხებს, მკითხველი უზარმაზარი პოზიტიური მუხტით დატვირთოს, რაც, თავის მხრივ, იმის მცდელობაა, რომ მწერლობას დაუბრუნდეს ის უმთავრესი ფუნქცია, რომელიც ერის სულიერების ფორმირებას და მისი ქვეყნისათვის სასიკეთო მიმართულებით წარმართვას ეხება. ნაწარმოებში ნაჩვენებია, როგორ შეიძლება სრულიად ზნედაცემული, გზასაცდენილი, გაბოროტებული ადამიანი შემოაბრუნო სიკეთისაკენ, რადიკალურად შეცვალო, აღმოაჩინო მასში ბევრი დადებითი თვისება და ეს ყველაფერი უანგაროდ, თავგანწირვით, მხოლოდ სიკეთითა და სიყვარულით გააკეთო.

იტალიელი მოგზაური ბართოლომეო დ’ ანიტი თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს მეგობრებს, ამავდროულად მკითხველსაც, იმ უძველეს ქვეყანაზე, რომელთანაც ბევრი მოგონება აკავშირებს. მისი მეგობრები განსაკუთრებით მოიხიბლნენ ქართული ქამარ-ხანჯლით, რომელიც ეკუთვნოდა დავითს. ამიტომ გადაწყვიტა იტალიელმა, გაეხსენებინა 40 წლის წინანდელი ამბავი, როდესაც ანტონიოსთან ერთად იმყოფებოდა კოლხეთში. მაშინ იგი 40 წლის იყო, ხოლო ანტონიო 5 წლით უფროსი. ისინი კოლხეთში გაგზავნეს, რათა უკეთ შეესწავლათ იქაური ტრადიციები და ეზრუნათ ქრისტიანობის განმტკიცებაზეც. 6 თვის მანძილზე იტალიელმა მოგზაურმა ქართულიც შეისწავლა, რაც შემდეგ ძალიან გამოადგა. თავიდან ანტონიო ძალიან უკარება, მარტოსული და გარიყული ჩანდა დანარჩენი თანამგზავრებისაგან, თუმცა პირველივე საუბრისას მიხვდა ბართოლომეო, რომ იგი ძალიან განათლებული, გონიერი, პატიოსანი, კეთილშობილი, დაკვირვებული, გულკეთილი და ალალი კაცი იყო, უბრალოდ, ძალიან განსხვავებული სხვებისაგან, უცნაური, იდუმალი, საინტერესო, უფრო გულისხმიერი და ფიქრიანი. ისინი უცებ დამეგობრდნენ და მათ შორის უჩინარი ძაფები გაიბა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ანტონიოს არ სწყალობდა სამღვდელოება და მკრეხელობასა და ღვთისმგმობელობას სწამებდნენ, რადგან რელიგიის განსხვავებული, თავისებური აღქმა ჰქონდა. ერთ დროს ანტონიო მოძღვარი იყო და მრევლი ებარა, მოგვიანებით გამოთქვა საჯაროდ აზრი, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ შეცვალა და დაამახინჯა ქრისტიანობის არსი, რის გამოც იგი შეიპყრეს და, სხვა თანამოაზრეებთან ერთად, ცეცხლზე დაწვა მიუსაჯეს, თუმცა სასჯელს თავი დააღწია გავლენიანი ნათესავების წყალობით. კოლხეთში მისი გაგზავნა იმით იყო განპირობებული, რომ იქ მუსულმანთა გარემოცვაში, მას მფარველი არ ეყოლებოდა და იქნებ ასე მოეცილებინათ თავიდან. ანტონიო განასახიერებს თანამედროვე ტოლერანტი ადამიანის სახეს, რომელსაც სწამს ღმერთის, თუმცა არ ექცევა რელიგიურ დოგმებში, შეიწყნარებს სხვის აღმსარებლობასაც და ამას თავისი ცხოვრებითა და ქმედებით ახორციელებს. მისთვის დოგმაა ის, რაც უფალმა იქადაგა, მაგრამ პაპებისა და კარდინალების შეკოწიწებული ქადაგებანი არ სწამს. ანტონიოს აზრით, სახელმწიფოს კანონებს ადამიანები ქმნიან, ამიტომ უმცირესობა ვალდებულია, დაემორჩილოს უმრავლესობას, მაგრამ რწმენა სხვაა, რწმენა ყველა ადამიანში სხვადასხვანაირადაა გამოხატული, ამიტომ ანტონიოს გზა და რწმენა განსხვავდება წინამძღოლის ცხოვრების გზისგან. ჯემალ ქარჩხაძის დიდოსტატობა მაშინ ვლინდება, როცა აღწერს ანტონიოს განცდებს სიკვდილით დასჯის წინა ღამეს. იგი საკუთარ თავს არ პატიობს იმ დანაშაულს, რომ შეიწყალეს, მისი მეგობრები კი სიკვდილით დასაჯეს, ამიტომ თვითგვემას ეწევა, საკუთარი სულის ხვეულებში მოგზაურობს და აშიშვლებს ქვეცნობიერ სურვილებსა და ფიქრებს. ანტონიოს გამოაქვს დასკვნა, რომ პატიება ყველაზე დიდი სასჯელია ადამიანისათვის და უცხო ქვეყანაში სიკვდილის საძებნელად მიდის.

კოლხები უცხოელებს მათთვის ჩვეული ღიმილითა და სტუმართმოყვარეობით დახვდნენ, თუმცა მოგზაურები მალევე დარწმუნდნენ, რომ ამ ქვეყანაში სიღარიბე და მწუხარება იყო გამეფებული. მწერალი ქართველთა მარადიულ სატკივარზეც საუბრობს, რომ მათ საუკუნეთა მანძილზე უწევთ მუსულმანურ სამყაროსთან ბრძოლა და ევროპისგან საკმაოდ მოშორებულები მარტო უმკლავდებიან დაუნდობელ მტერს; რომ ადამიანები ერთმანეთს დაერივნენ, სიძულვილი გამეფდა ქვეყანაში, შინაური შუღლი აზარალებს ერთიანობას... თუმცა, ნაწარმოების მთავარი თემა ადამიანთა მრავალფეროვანი სულიერი სამყაროს ჩვენებაა. ამიტომ დავუბრუნდეთ ისევ ანტონიოსა და დავითის შეხვედრას. ანტონიოს პირით ავტორი ამბობს რამდენიმე ბრძნულ სენტენციას, მაგალითად: „სანამ ბოროტებას სიძულვილი არ განელებია, მანამდე სიკეთე ცოცხალია. ამიტომ ქვეყანა დაიღუპება მაშინ, როცა იქ ტანჯვის უნარი აღარავის შერჩება“. ანტონიო გამორჩეულია იმითაც, რომ დასტაქრობა ეხერხება და ეხმარება ყველას, რითიც შეუძლია. მაგრამ, ბერებისგან განსხვავებით, ასწავლის კიდეც როგორ იმკურნალონ, რაც, რა თქმა უნდა, არ მოსწონს სამღვდელოებას. ამ ნიადაგზე იზრდება მათ შორის უკმაყოფილება. ამიტომ ბართოლომეო და ანტონიო მიდიან მთაში და იქ დაბინავდებიან თავადის სახლში. დავითის სახელი ეშმაკთან ასოცირდება იქაურებისთვის, ხოლო ტყეში მისი ციხე უწმინდური სულის ადგილსამყოფელია. ცბიერი, გულადი, უშიშარი, თავზეხელაღებული, დაუნდობელი და მოუხელთებელი დავითი, მათი მასპინძლის, თავადის ცოლისძმა აღმოჩნდა, უკანონოდ შობილი. დევნილი, თურქეთში გაყიდული და ტანჯვაგამოვლილი ბიჭის სულში რომ შურისძიებამ ჩაიბუდა, გასაკვირიც არ იყო. ჯერ წვრილმან ყაჩაღობას მისდევდა გაპარული მონა, მერე დაქირავებული მკვლელი გახდა, ბოლოს კი – ავაზაკთა ბანდის მეთაური. მოლაპარაკების მერე ლაჩარი და მხდალი თავადიც თანამზრახველად აქცია, მის სანახებში დაბინავდა და ყურმოჭრილ მონად გაიხადა მთელი სოფელი.

ძალიან შთამბეჭდავადაა გადმოცემული დავითთან პირველი შეხვედრა. ეკლესიაში შეკრებილები უჩვეულო სურათის მომსწრენი გახდნენ: ტაძარში შემოიჭრა თეთრ ცხენზე ამხედრებული უჩვეულო სილამაზის კაცი, მღვდელს, რომელიც თავადის ბრძანებით მას შეაჩვენებდა, ყულფი გადააცვა თავზე და მთელი მრევლი მონუსხული დატოვა. მხოლოდ ანტონიომ გაბედა და თოკი გადაჭრა, რითაც დავითის ირონიული ღიმილი დაიმსახურა. ანტონიო, როგორც ჭეშმარიტ ღვთისკაცს შეეფერება, მოუწოდებს დავითს, ცოდვებში ჩაძირული სული გაითავისუფლოს და უფალს პატიება სთხოვოს სისასტიკისათის. თუმცა, პირველ ეტაპზე, დავითის თვალები მხოლოდ გაოცებასა და მრისხანებას გამოხატავენ. ანტონიოს შეგონებები ღვთიური ნათლითაა გასხივოსნებული: „იჩქარე, თორემ შენი სხეული მალე ამაოებას ჩაბარდება და ამპარტავანი სულით შიშველი მიადგები მარადისობის კარიბჭეს. იქ დაგხვდება ყველაფერი, რაც ჩაგიდენია!“

ამ შემთხვევის მერე ანტონიოს სიცოცხლე საფრთხეში იყო, რადგან დავითმა მათი შემოშვების სანაცვლოდ თავადს ორი ყმაწვილის გაგზავნა სთხოვა. ხალხიც ანტონიოს მცველად კი არა თავსდატეხილი უბედურების მიზეზად აღიქვამდა, როგორც არქიფო სეთურის სახელმწიფოში (ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“) სიმართლის მთქმელი მტერია, ხოლო ის, ვინც ხალხის გამოფხიზლებას ცდილობს – მოღალატე. ანტონიოს პატიოსნება და სამართლიანობა არ აძლევს ნებას, რომ ჩუმად უყურაოს ავაზაკთა პარპაშსა და ხალხის დრტვინვას, ამიტომ გადაწყვეტს, ჩაერიოს მათ საქმეში და დავითს ესტუმროს. ანტონიოს ვაჟკაცობა გამოჩნდა მაშინაც, როცა ტყვეთა ნაცვლად საკუთარი თავის შეთავაზების განზრახვით ეწვია ავაზაკს. დავითთან დიალოგში ჩანს ანტონიოს სითამამე, გონიერება, მჭევრმეტყველება, რამაც მოხიბლა ყაჩაღები (კითხვაზე: სული სადა გაქვსო, ყაჩაღმა ასეთი პასუხი მიიღო: მაჩვენე სახელი სადა გაქვს ან სითამამე სხეულის რომელ ნაწილში დევს?). ტყვეთა გამოსყიდვის შემდეგ სახლში დაბრუნებულებს გმირებივით აღიქვამს მოსახლეობა, თუმცა ანტონიო ამით არ კმაყოფილდება. მეორე დღეს, უცნაური

ხილვის გავლენით, კვლავ ეშმაკის ციხეში მიდის და უკან დავითის ნაჩუქარი ქამარ-ხანჯლით ბრუნდება. დავითი აფასებს მის სიმამაცეს და ხვდება, რომ ანტონიო ზებუნებრივი მადლითაა დაჯილდოებული და სრულიად გამოუცნობი მისია აკისრია მასთან მიმართებას: გამოასწოროს და სიკეთის გზაზე შემოაბრუნოს გზასაცდენილი მკვლელი. ანტონიოს საუბრით დავითი ახალ სამყაროს შეიმეცნებს, სადაც უმწეო ადამიანთა დაჩაგვრა სიმამაცე კი არა – სიმხდალე და ლაჩრობაა, სადაც ყოველგვარ ბოროტებას ადამიანს შიში ჩაადენინებს, ხოლო კეთილ ადამიანს თავის დასაცავად იარაღი არ სჭირდება, მართალი სიტყვაც ჰყოფნის. ადამიანსაც შიშის გამო კლავს მკვლელი და შიშის დაძლევას მისი დამალვა ურჩევნია. სიძულვილი უფრო ადვილია, ვიდრე სიყვარული, მაგრამ ანტონიოს აზრით, სიცოცხლის აზრად სიყვარული უნდა გაიხადო, მაშინ შიშსაც მოერევი. არც სიკვდილის უნდა ეშინოდეს ადამიანს, რადგან „სიცოცხლე იმად არ ღირს, რომ მისი გულისთვის კაცი შიშს მონად გაუხდეს“. ყველაზე მეტად ბოროტის მქმნელს უნდა ეშინოდეს, რომ ერთხელაც ჩადენილი ცოდვები მატლებივით დაეხვევიან და მარადიულ სატანჯველს მოუმზადებენ.

ანტონიოს მონოლოგის ზეგავლენით დავითი გადაიფიქრებს მის მოკვლას და დასაჩუქრებულს უშვებს ციხიდან. ამის მერე იცვლება მისი ცხოვრებაც. ძველებურად წელში გამართული და ამპარტავანი აღარ არის, უცნაურად მოტყდა, ნაღველი დაანვა, ცოდვების სიმძიმე იგრძნო და აღიარა, რომ სამართლიანობის აღსადგენად არასწორ გზას დაადგა, გაბოროტდა, გაავდა და უამრავი უდანაშაულო ადამიანი უმსხვერპლა საკუთარ გულისთქმას (საოცარი სიტყვებია: სიჩუმეში ისმოდა ანტონიოს სიტყვები, ისმოდა კი არა, ჩანდა კიდეც, როგორც ხელშესახები რამ საგნები). ბართოლომეოს რჩევით დავითმა მთელი თავისი ქონება გაყიდა და იმ ფულით ახალციხეში მონები გამოისყიდა. მაგრამ ვერც ამით დაიმშვიდა სული, ძნელი ყოფილაო გამოღვიძება და აღიარა, რომ სული გველებით ჰყავდა სავსე. ანტონიოს სიტყვები კი მალამოდ ედება მის ტანჯულ სულს, ანტონიო ასწავლის ცოდვილს, რომ ტკივილი განკურნების ნიშანია, და რომ უფალი ყოველგვარ ცოდვას შეუნდობს ადამიანს. თვითმკვლელობაზეც ფიქრობს დავითი, მაგრამ სულიერი მოძღვარი თავის მოკვლას ღვთისათვის მოსაწონ საქციელად არ უთვლის. სახარების კითხვამ, ძე შეცდომილის იგავმა და იმის რწმენამ, რომ ძე ღვთისა ცოდვილთა გამოსახსნელად განკაცდა, გადარჩენის იმედი დაუბრუნა სინანულში ჩავარდნილს. ცხრა ღამე კითხულობდნენ უძღები ძისათვის მეგობრები სახარებას და ბოლოს გადაწყვიტეს, მისი სულის გადარჩენასთან ერთად, ფიზიკურ გადარჩენაზეც ეზრუნათ. გადაწყვიტეს, დავითი რომელიმე განდეგილს ან მეუდაბნოეს შეჰკედლებოდა და დარჩენილი სიცოცხლე მორჩილებასა და ღვთის სამსახურში გაეტარებინა. დავითმა ეკლესიას მუხლისჩოქით გარს შემოუარა. სწორედ ამ დროს გადაწყვიტა ბრბომ, ადრე რომ ვერაფერს უბედავდა დავითს, უიარაღოსა და დამდაბლებულს თავს დასხმოდა და ჩაქოლათ. ანტონიომ იხსნა იგი სიკვდილისაგან, ჭრილობებიც მოუშუშა, თუმცა მერე საყვედური მოისმინა მეგობრისაგან: რატომ არ დამაცადეთ, მე ხომ თითქმის ვძლიეო სიკვდილის შიშს. ავტორი კვლავ ფილოსოფიურ წიაღსვლას გვთავაზობს, როცა საუბრობს, რომ ამ შემთხვევაში თუ სიკვდილი ხსნაა დავითისათვის, მკვლელისთვის ახალი ცოდვის დასაბამია, ამიტომ უფალი არ დაუშვებს, რომ ერთი ბოროტება მოისპოს მეორე ბოროტების ხელით. დავითის სულში თითქოს ჭრაქი აინთო, იგი ხვდება, რომ სანამ ცოცხალია, უფალი მისგან სამსახურს მოითხოვს. ამიტომ ფიქრობს, ეახლოს მთავარს, აღიაროს შეცოდებანი და დაემორჩილოს კანონს, თუ სიკვდილს არ მიუსჯიან, მეკობრეთმძებნელი გახდეს. მაგრამ დავითს, ანტონიოსაც და ბართოლომეოსაც მთავრის რაზმის მეთაური შეიპყრობს და განსასჯელად იმ სასამართლოს გადასცემს, რომელიც სულმოკლე თავადის საჩივარს ეთანხმება. ანტონიოს კვლავ კოცონზე დაწვას მიუსჯიან. დავითი მის გამოსახსნელად გეგმას ადგენს, (დავითი მისმა მსახურმა ბებემ გააპარა ციხიდან). ამ სიტუაციაში ანტონიო ამჯობინებს საწამლავი დალიოს, ვიდრე დავითს ახალი ბოროტების ჩადენის უფლება მისცეს. დავითი კვლავ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ძლივს მოპოვებული მეგობრის სიკვდილმა, იგი ისევ ფიქრობს, რომ ქვეყანა განუკითხაობის მორევშია ჩაფლული, სადაც მართალს უფრო სდევნიან, ვიდრე დამნაშავეს და ისევ შურისძიებაზე იწყებს ფიქრს. თავადისა და ყოფილი მღვდლის დასჯას გეგმავს, ახალციხეში გაყიდის, ხოლო აღებული ფულით ისევ სხვა მონებს, ქალსა და ბავშვს გამოისყიდის. ბართოლომეო კი მეგობრის უკანასკნელ თხოვნას ასრულებს და ციხეში ელოდება დავითს, რათა ბოლომდე იზრუნოს მის გადარჩენაზე. დავითის დამშვიდობება იტალიელ მეგობართან ცალკე რომანის თემაა, იგი თვლის, რომ ანტონიომ ერთი უფსკრულიდან ამოიყვანა იგი და მეორეში ჩააგდო, მაგრამ ადამიანობა კი ასწავლა. ბართოლომეო იგონებს, რომ იმ დღის შემდეგ აღარ უნახავს დავითი და ერთი წლის მერე თავადაც დაბრუნდა სამშობლოში.

მე ვიზიარებ და სრულებით ვეთანხმები ავტორის პოზიციას, რომ დიდსულოვნებითა და გონივრული რჩევებით ყველანაირი ავაზაკი შეიძლება შემოვაბრუნოთ სიკეთისაკენ. ანტონიომ დავითში მოსპო მკვლელი, მძარცველი და ავაზაკი და შექმნა სულ სხვა ადამიანი. ისევე როგორც ვიქტორ ჰიუგოს რომანში „საბრალონი“ კატორღელი ჟან ვალჟანისაგან პატიებითა და მიტევებით შექმნა მღვდელმა ახალი ადამიანი.

**ქეთევან ქათამაძე**

ПЕДАГОГОТА ДАСАХМАРЕБЛАД

*ქართული (დაწყებითი საფეხური)*

# როგორ ვასწავლოთ პრაგმატული ტექსტის წერა

ლალი ვაშაკიძე

*მეთოდურ წერილებს დაწყებითი საფეხურის ქართული ენის მასწავლებლებისთვის მოამზადებს არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისის“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი* ***ლალი ვაშაკიძე***

კიდევ ერთხელ ვისაუბროთ იმაზე, რაც ყველამ იცის. იცის კი ყველამ, რომ დაწყებითი განათლების საფეხურზე ეყრება საფუძველი ადამიანის მომავალს: სწავლაში წარმატებას და უმაღლესი განათლების პერსპექტივას. ეს ვინ არ იცისო? – იკითხავს გაოცებული მკითხველი. მე კი სხვაგვარ ვითარებასაც წავწყდომივარ. დაწყებითი კლასის ერთმა მასწავლებელმა ბავშვის პრობლემებით აფორიაქებულ მშობელს უთხრა: რა გაღელვებთ, გინახავთ ვინმე, წერა-კითხვა რომ ვერ ესწავლოსო? დიახ, მინახავს, ბატონებო, და თქვენც გინახავთ, ზოგჯერ ზრდასრულ ადამიანს უჭირს ავტობიოგრაფიის, განცხადების, დახასიათების და მრავალი უმარტივესი პრაგმატული ტექსტის დაწერა. რომ აღარაფერი ვთქვათ, მაღალი რანგის დამწერებსა და მაღალი რანგის შეცდომებზე. უნიკალური რეცეპტი მედიცინაშიც არ არსებობს და, მით უმეტეს, ვერ იარსებებს პედაგოგიკასა და მეთოდიკაში. ამიტომ შევეცადოთ, ერთად ვიფიქროთ ამ პრობლემაზე.

კითხვა და წერა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესია, ბავშვი უნდა კითხულობდეს, რომ წერა ისწავლოს, ბავშვი უნდა წერდეს, რომ კითხვაში უკეთ გაიწაფოს. ერთიც და მეორეც ასე ვითარდება: ასო-ბგერა, სიტყვა, სიტყვა კონტექსტში, მოკლე მარტივი წინადადება და მარტივი ყოფითი ტექსტი. ეს I კლასის სასწავლო გეგმის არსია. არ იფიქროთ ადვილია. ადვილია მაშინ, როდესაც მშობელი ან მასწავლებელი უზის ბავშვს და მის ყოველ ასოს, სიტყვასა და წინადადებას აკონტროლებს. შედეგი ის კი არ არის, რას ვაკეთებინებთ მოსწავლეს, არამედ – ის , რისი გაკეთებაც მას დამოუკიდებლად შეუძლია. თუ მასწავლებელი მეთოდურად სწორად გათვლილ და ობიექტურ მონიტორინგს ჩაატარებს, დარწმუნდება, რომ სულ ცოტა, მოსწავლეების 20% (ეს სავარაუდო პროცენტი გახლავთ) ვერ ძლევს სტანდარტს. თუ ჩვენ ამას თვალს არ გავუსწორებთ და სამომავლოდ არ გავითვალისწინებთ, ეს მოსწავლეები მუდამ ამ კატეგორიაში დარჩებიან. ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია, თუმცა ამჯერად ის მაინც უნდა ვთქვათ, რომ მათი ჩართვა სასწავლო პროცესში აუცილებელია.

მასწავლებლებმა იციან, რომ სწავლა-სწავლების პროცესი არის **რუტინა** – შრომა და გამეორება დასწავლამდე. რუტინა რომ უინტერესო არ გახდეს, ერთი მიზნის მისაღწევად ყოველთვის მრავალგვარი ამოცანა უნდა შევთავაზოთ მოსწავლეებს, ამას სწავლისადმი **შემოქმედებითი** მიდგომა ჰქვია; არ დაგვავიწყდეს ის მოსწავლეებიც, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ დაძლიეს სასურველი დონე. ისინი შეიძლება ცოტანი არიან, მაგრამ მათი იგნორირება მათ სამუდამო გაწირვას ნიშნავს, ამიტომ ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მოსწავლეებისადმი **ინდივიდუალური** მიდგომა.

ინდივიდუალური მიდგომა არ ნიშნავს ამგვარი მოსწავლეებისათვის მუდამ მარტივი ინდივიდუალური დავალების მიცემას, ისინი უნდა ჩავრთოთ საერთო პროცესში, როდესაც ყველას თავისი დიდი და პატარა როლი აქვს, როდესაც ყველანი ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთისგან სწავლობენ. ამასთანავე, სასწავლო ამოცანა აუცილებლად **ასაკობრივი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებით** უნდა შემუშავდეს. ახლა ვიფიქროთ, როგორ გამოვიყენოთ ყველა ეს პრინციპი, როგორ მოვიაზროთ იგი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში. თითოეული კლასის წერითი მიმართულება ითვალისწინებს: ა) პრაგმატულ-კომუნიკატორული ხასიათის ტექსტის შედგენას; ბ) ლიტერატურული ტექსტის შექმნას; გ) ენობრივი (გრამატიკული) უნარების განვითარებას; დ) წერის სტრატეგიების უნარის განვითარებას. ეს ოთხი პუნქტი მოიცავს წერის სწავლების ყველა ასპექტს. ამასთან ერთად, თითოეული ასპექტი ითვალისწინებს ასაკობრივ თავისებურებებს და კლასიდან კლასში გადაყვება შესაბამისი ამოცანებითა და სირთულით. სწავლების პროცესი პროდუქტიული რომ იყოს, იგი მიმართული უნდა იყოს მოსწავლის აქტივობაზე. მე დავსწრებივარ ღია გაკვეთილს, სადაც მოსწავლეებმა ისეთი ლიტერატურული ანალოგიები მოუძებნეს შესასწავლ მოთხრობას, ისეთი სერიოზული პარალელები გაავლეს, რომ... აფერუმ მასწავლებელს, მაგრამ რა?! იგი ირწმუნებოდა, რომ ეს ყველაფერი იციან ბავშვებმაო. იქნებ იცოდნენ კიდეც. დაწყებითი განათლების ეტაპზე ბავშვს განსაკუთრებულად აქვს განვითარებული მეხსიერება, რასაც გინდა დაისწავლიან, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, არამედ ის, თუ რას შეძლებენ ისინი თავად. სერიოზული ლიტერატურული პარალელის გავლება 8 წლის ბავშვს არ შეუძლია. ზოგჯერ შეხვდებით ისეთ მასწავლებელს, რომლის დავალების შესრულებაში მთელი ოჯახია ხოლმე ჩართული. ოჯახის ჩართულობა ცუდი არ არის, მაგრამ გააჩნია, რა საქმეში და რა დოზით. იქნებ სწავლების პროცესი უფრო თვალსაჩინოდ რომ წარმოვიდგინოთ, გავყვეთ მას. ყველაფერს ერთად რომ არ გადავწვდეთ, ავირჩიოთ ერთ-ერთი საკითხი: პრაგმატული ტექსტის შედგენა.

**II.10**. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის პრაგმატული ტექსტის (მოსაწვევი ბარათის, დღის რეჟიმის, სხვადასხვა ტიპის სიებისა და სხვა) შედგენა და გაფორმება კომპოზიციური მახასიათებლის დაცვით.

### შეფასების ინდიკატორები

**მოსწავლე**:

1. აკვირდება მოდელს და ამოიცნობს, რა ტიპის ინფორმაციას შეიცავს ტექსტი (მაგალითად, მოსაწვევ ბარათში – ვის იწვევენ, რასთან დაკავშირებით, სად, როდის);
2. ასახელებს მოდელის კომპოზიციურ თავისებურებებს (როგორ არის ინფორმაცია ორგანიზებული);
3. თავს უყრის და ჩამოწერს კონკრეტულ ინფორმაციას, რომლის შეტანაც უნდა ტექსტში;
4. ადგენს ტექსტს მოდელის მიხედვით;
5. შედგენილ ტექსტს ადარებს მოდელს და, საჭიროებისამებრ, შეაქვს შესწორებები.

მუშაობის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია შეფასების ინდიკატორები, რაც არა მარტო ცოდნისა და უნარების შეფასებისათვის გამოდგება, არამედ მასწავლებელს არ მისცემს იმის საშუალებას, რომ თავი აარიდოს მისთვის შეუჩვეველ ამოცანებზე მუშაობას, იმის სტიმულსაც გაანელებს, რომ მასწავლებელმა არაადეკვატური სირთულის სამუშაო შესთავაზოს მოსწავლეს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს როგორც საჭიროებებს, ასევე ბავშვის ასაკობრივ შესაძლებლობებს.

ყველაზე პოპულარული, ამ კომპონენტზე მუშაობისას, არის მოსაწვევი ბარათის დაწერა. როგორ შეიძლება დავგეგმოთ გაკვეთილი, გათვლილი მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. გთავაზობთ ამ თემის ერთ-ერთ გეგმას:

### 1. გაკვეთილის ორგანიზება და მასალის დარიგება:

დავაწყვილოთ მოსწავლეები და დავურიგოთ მოსაწვევი ბარათები. ყველა წყვილს სხვადასხვა შინაარსის მოსაწვევი ბარათი შეხვდება. დაახლოებით ასეთი შინაარსისა:

ძვირფასო ანო და გიგი

გიწვევთ დაბადების დღეზე!

15 მაისს, საღამოს 8 საათზე;

მისამართი: ვილა ყიყლიყო

თქვენი მეგობარი პეპი გრძელწინდა

სხვებს მიიწვევენ: კარლსონი, ვინი პუჰი, წითელქუდა, პინოქიო , პიტერ პენი და სხვ... შეიძლება ზეიმის განსხვავებული მიზეზიც დასახელდეს: კონცერტი, ახალი წელი, საშობაო დღესასწაული და სხვა.

### 2. დაფიქსირდეს მოსაწვევი ბარათების შინაარსი და მოდელი;

წყვილები გასცემენ პასუხს კითხვებს:

ა) რით დაიწყო თქვენი მოსაწვევი ბარათი?

ბ) რა დღესასწაულზე მიგიწვიეს?

გ) როდის და რომელ საათზე ტარდება დღესასწაული?

გ) სად ტარდება დღესასწაული?

ე) ვინ გიწვევთ დღესასწაულზე?

ბავშვებს უთუოდ დააინტერესებთ, ვინ სად არის მიწვეული, ამავე დროს ისინი თამაშ-თამაშ, ხალისით ბევრჯერ გაიმეორებენ და დააფიქსირებენ მოსაწვევი ბარათის მოდელს.

### 3. დამხმარე კითხვებით მოდელის სქემაში გადმოტანა

მოსწავლეებს დავუსვათ დამხმარე კითხვები: პირველად რა ეწერა ბარათებში? – ვის ეპატიჟებიან თუ ვინ ეპატიჟებათ? შემდეგ რა ეწერა? როდის ეწერა დღესასწაულის ადგილი და დრო? საჭიროა თუ არა ვიცოდეთ, სად გვეპატიჟებიან? ბოლოს რა ეწერა ბარათში? ეს ყველაფერი იწერება დაფაზე, სქემა იღებს ამგვარ სახეს:

1. ვის იწვევენ?
2. რომელ დღესასწაულზე იწვევენ?
3. როდის იწვევენ? – თვე, რიცხვი, საათი;
4. სად იწვევენ?
5. ვინ გიწვევთ?

### 4. დამოუკიდებელი სამუშაო

მოსწავლეებს ამჯერად ეძლევათ დავალება, ხვალ თავიანთი პერსონაჟი მიიწვიონ სკოლის საზეიმო კონცერტზე, შეადგინონ მოსაწვევი ბარათი. წყვილებს ურიგდებათ მზა მოდელი:

ჩემო საყვარელო .....

გიწვევთ .....

ხვალ, ..... ოქტომბერს, საღამოს .....

მე-3 საჯარო სკოლის .....

თქვენი მეგობარი .....

ერთი მოსწავლე შეავსებს სქემას, მეორე შეადარებს მოდელს და შეასწორებს. დავალებები განაწილდება მოსწავლეთა შესაძლებლობის შესაბამისად.

### 5. განმტკიცება – საშინაო დავალება

შექმენით მოსაწვევი ბარათი, დახატეთ, გააფორმეთ და თქვენი ხელოვნების მასწავლებელი მიიწვიეთ თქვენი ნახატების გამოფენაზე ბავშვთა გალერეაში.

ვფიქრობ, გაკვეთილის ამ გეგმით ჩვენ გავითვალისწინეთ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პრინციპი.

რუტინა გულისხმობს სამუშაოს მრავალჯერად ჩატარებას, ამიტომ სასურველია მოსწავლეებს შევადგენინოთ მოსაწვევი ბარათები მშობლებისათვის სასკოლო ღონისძიებებზე, მეგობრებისთვის საკუთარ დაბადების დღეებზე, კონცერტებზე, გამოფენებზე და სხვა.

ახალს ალბათ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ დავფიქრდეთ, კიდევ რა შეიძლება შევთავაზოთ მეორეკლასელებს. ამ ასაკისათვის შესაფერისი პრაგმატული ტექსტია მისალოცი ბარათი. იგი შეიძლება დაიწეროს ყოველთვის, როცა თანაკლასელის დაბადების დღეა. ასევე პერიოდულად შექმნან სხვადასხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი მისალოცი ბარათები.

სახალისოდ შეიძლება წარიმართოს დღის რეჟიმზე მუშაობა. გაკვეთილების ცხრილი გარკვეული ტიპის დღის რეჟიმია.

### 1. მოდელზე დაკვირვება

ჩვენ შეგვიძლია გაკვეთილების ნახატი ცხრილი გამოვაკრათ დაფაზე, ჩარჩოში ჩასმული ფიგურებით: მათემატიკა – ციფრები, ქართული – ასოები, ხელოვნება – ფუნჯები, მუსიკა – ნოტები, ბუნება – ყვავილები, სპორტი – ბურთი და ა.შ. იგი შეასრულებს მოდელის ფუნქციას.

### 2. მოდელის მიხედვით ამოცანის შესრულება

გამოკრული იქნება მთელი კვირის ცხრილი. მოსწავლეებს ევალებათ, შესაბამისი მოდელის გათვალისწინებით ჩამოწერონ გაკვეთილების ცხრილი. შესაძლებელია მოსწავლეებს ცხრილის ნაბეჭდი ფორმა დავურიგოთ, შევავსებინოთ და ვთხოვოთ, თავიანთ საწერ მაგიდასთან გამოაკრან. მთელი დღის რეჟიმის შედგენა ცოტა ძნელი იქნება მეორეკლასელთათვის. ამის გაკეთებას ისინი ვერ შეძლებენ მშობლების დახმარების გარეშე. ექნება თუ არა ამ დავალებას მნიშვნელობა? რა თქმა უნდა ექნება, რადგან იგი ასევე გაკრული იქნება მათ სამუშაო ადგილას, მუდამ ბავშვის თვალწინ და ამავე დროს დაავალდებულებს დღის რეჟიმის დაცვას, სადაც გაწერილი იქნება არა მარტო საგაკვეთილო და დამატებითი საქმიანობის დრო, არამედ წიგნის კითხვის, დასვენების, თამაშის, კომპიუტერთან ჯდომის და ძილის დრო. ყოველივე ამას კი დიდი მნიშვლელობა აქვს ბავშვის აღზრდისთვის.

ისევ და ისევ გავიმეორებ, რომ სწავლას სჭირდება რუტინა, სამუშაოს ჩატარების გარკვეული მუდმივობა, შემოქმედებითი და ინდივიდუალური მიდგომა, მოსწავლეების შესაძლებლობების გათვალისწინება. თამაშით წარმართულ სწავლებაში უფრო კომფორტულად გრძნობს თავს ის ბავშვი, რომელსაც ჯერ არ დაუძლევია ყველა პრობლემა. ამის საშუალებას კი სწორედ პრაგმატული ხასიათის ტექსტების შედგენა იძლევა. შეიძლება საინტერესო თამაშად ვაქციოთ სხვადასხვა ტიპის სიის შედგენაც კი. ეს თამაშიც წყვილებში უნდა წარიმართოს: ერთი ასახელებს ნივთიერებას (ხე, მინა თიხა და ა. შ.) მეორე – ნივთებს, რაც მისგან კეთდება; ერთი ასახელებს წელიწადის დროს, მეორე – ტანსაცმელს, ერთი – გაკვეთილს, მეორე – საჭირო ნივთებს და ა.შ. სასურველია, პირველმა მოსწავლემ სცადოს შექმნილი სიის შევსებაც. ეს დავალება წერის უნარების გარდა ავითარებს კლასიფიკაციის უნარს, მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართების უნარს ვერბალურ დონეზე. კარგი იქნება, თუ პრაგმატული ტექსტების შედგენას აღმზრდელობით ფუნქციასაც მივანიჭებთ, ჩამოწერონ რა საჭმელები უყვართ ბავშვებს. ამ სიისგან შეადგინონ ორი სხვა სია, სასარგებლო პროდუქტი და არასასარგებლო პროდუქტი. შეადგინონ ჯანსაღი კვების მენიუ – საუზმე, სამხარი, სადილი, ვახშამი.

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთ ნათქვამს განსაკუთრებული სიახლე არ შემოუტანია, მაგრამ ერთი აზრით, ერთი საფიქრალით გაგვაერთიანა. კარგია, როდესაც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრიტერიუმები პრობლემად არ იქცევა, ან ძალდატანებით მუშაობას არ გვაიძულებს, არამედ იგი გვაძლევს სტიმულს სწავლების პროცესი სახალისო და სოციალურად სასარგებლო გავხადოთ, მით უმეტეს, როცა საკითხი პრაგმატულ თემატიკას ეხება.

თუ ჩვენი დიალოგი შედგა, იქნებ ეტაპობრივად წავყვეთ ეროვნული სასწავლო გეგმის სხვა საკითხებსაც – ვიფიქროთ და ვისაუბროთ, ხომ იცით ჩვენ ერთმანეთს ვამდიდრებთ. იმის მიღმა, რაც სახელმძღვანელოებსა და რვეულებშია მოცემული, რაც მეთოდურ სახელმძღვანელოებშია აღწერილი, მასწავლებელს ყოველთვის სჭირდება ძალისხმევა, გაკვეთილი გახადოს სახალისო, სასარგებლო, მეთოდურად გამართული და შედეგზე გათვლილი. ყველა სასწავლო რესურსზე მნიშვნელოვანი მასწავლებლის როლი გახლავთ, განსაკუთრებით, დაწყებით კლასებში. ერთმა გონიერმა ადამიანმა იხუმრა: მიეცი საბავშვო ჟურნალი კარგ მასწავლებელს და იგი შესანიშნავად ასწავლის წერა-კითხვას ბავშვებსო. ამ ხუმრობაში სიმართლეცაა. არ იფიქროთ, სახელმძღვანელოების როლის დაკნინებას ვცდილობდე, თავად ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ავტორი ვარ. არავინ არ დავობს იმაზე, რომ კარგი მუსიკალური ნაწარმოები მხოლოდ ვირტუოზი შემსრულებლის ხელში ხდება საუკეთესო.

# მინისტრი გიმნაზიაში

28 ოქტომბერს თბილისის კლასიკურ გიმნაზიას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ტარიელ ხეჩიკაშვილი** ესტუმრა. ვიზიტი გიმნაზიის მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით შედგა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ემსახურებოდა, თუმცა მოსწავლეებმა მინისტრს არა მხოლოდ ამ თემაზე გაუმართეს დიდი დისკუსია. ხეჩიკაშვილი მოზარდებს სამინისტროს მიერ დაგეგმილ პროექტებზე ესაუბრა, რაც ახალგაზრდობის სპორტში ჩაბმისა და მათი გაჯანსაღებისკენაა მიმართული. ბავშვები ყველაზე დიდი ინტერესით შეხვდნენ ცნობას სკოლებს შორის შეჯიბრებების შესახებ, რისთვისაც სამინისტრო საგანგებოდ გამოჰყოფს სტადიონებს. მოზარდები ექსტრემალური სპორტითაც დაინტერესდნენ.

როგორც გაირკვა, ბავშვებს ბევრი რამ აინტერესებდათ – კითხვა-პასუხის რეჟიმში გამართული საუბრის სპექტრი მრავალფეროვანი იყო: თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, სამინისტროს ახლანდელი და სამომავლო გეგმები, ფეხბურთის განვითარება საქართველოში და ბევრი სხვა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ხეჩიკაშვილმა აღნიშნა კიდეც, ასეთ მწვავე კითხვებს არ ველოდიო.

მინისტრი გიმნაზიაში ხელცარიელი არ მისულა – სკოლას საჩუქრად კალათბურთის ფორმის ორი კომპლექტი, კალათბურთისა და ფეხბურთის ბურთები გადასცა.

გიმნაზია გეგმავს, თვეში ერთხელ, შემოიღოს „მინისტრის საათი“.

# ჯანაშვილის მორიგი ტრიუმფი

ძიუდოისტი **მარიამ ჯანაშვილი** ქართული სპორტის ისტორიას წერს – ის პირველი ქართველი ქალია, ვინც საჭიდაო სახეობებში სამივე ასაკობრივ კატეგორიაში (ჭაბუკები, ახალგაზრდები, დიდები), მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მედალი მოიპოვა. რამდენიმე დღის წინ, აბუ დაბიში, ამ რანგის ტურნირის ფინალში გავიდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. აქამდე მას კიდევ ერთი ისტორიული ჯილდო ეკუთვნოდა. ასევე პირველი ქართველი ქალია, პირველხარისხოვან შეჯიბრებებზე (ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები, ოლიმპიადა) მედალი რომ მოიპოვა – 2013 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა. ეჭვიც არ გვეპარება, მას წინ კიდევ არაერთი სასახელო მიღწევა ელოდება.

ჯანაშვილს შარშანდელი სეზონი მთლიანად გაუცდა, რადგან უმძიმესი ტრავმის შემდგომ სარეაბილიტაციო პერიოდს გადიოდა. 2013 წელი მისთვის ფრიად წარმატებული გამოდგა – თავის ასაკში ევროპის ჩემპიონი ხომ გახდა, მსოფლიოზე ვერცხლი მოიპოვა, ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე – ბრინჯაო. თუმცა, მედლებთან ერთად, ტრავმების კოლექციაც დააგროვა და სეზონის ბოლოს იძულებული გახდა, ოპერაციები გაეკეთებინა. მას ორივე მუხლზე გაუწყდა მყესები, დაუზიანდა მენისკი და ჭიდაობას ვინღა დაეძებდა, სიარულიც უჭირდა. ტრავმა რომ უმძიმესი იყო, იმთავითვე ჩანდა, მაგრამ საქმეს ისიც ართულებდა, ორივე მუხლზე ერთდროულად ოპერაციის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან გარკვეული პერიოდი საერთოდ ვერ შეძლებდა სიარულს. ამიტომ გადაწყდა, ჯერ ერთზე გაეკეთებინათ და როცა იმდენად მოძლიერდებოდა, რომ თავისუფლად გაივლიდა, მაშინ მეორე მუხლიც დაემუშავებინათ ქირურგებს. ასეც მოხდა, ოპერაციებმაც კარგად ჩაიარა და სარეაბილიტაციო პერიოდმაც, მაგრამ ამ ყველაფერმა მთელი წელიწადიც თან შეინირა...

ჯანაშვილმა სექტემბერში ევროპის ჩემპიონატზეც იჭიდავა ახალგაზრდებში, მაგრამ წააგო. შეიძლება ითქვას, იმ შეჯიბრებისთვის არანაირი საგანგებო მზადება არ გაუვლია – არც შეკრება, არც ტურნირი, მხოლოდ დარბაზში ყოველდღიური ვარჯიშით წავიდა ავსტრიაში შეჯიბრებაზე. მაშინ თავადაც ამბობდა, რომ ფიზიკური მომზადება აკლდა, მალე იღლებოდა... მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მიდგომა შეიცვალა და რომშიც გაუშვეს ერთობლივ კემპზე, სადაც ფიზიკურად მშვენივრად დაიტვირთა ორთაბრძოლებით, კარგი სპარინგებიც გამოუვიდა და ეს ყველაფერი აბუ დაბიში მის გამოსვლაზეც აისახა... იქაც იყო ეპიზოდები, სადაც თითქოს აკლდა ძალა, რამდენჯერმე ილეთები ვერ დაასრულა, აკლდა რაღაც, რაც ახასიათებდა ოპერაციამდელ ჯანაშვილს, თითქოს მოძრაობაში ცოტა მოდუნებული იყო, მაგრამ მაინც ძველებური სიჩაუქით ჩამოუქროლა მეტოქეებს და ფინალამდე ყველას ბდღვირი ადინა. რაც მთავარია, ისევ გამოავლინა საუკეთესო თვისება – შემტევი, ჟინიანი, მებრძოლი ხასიათი და რამდენიმე პაექრობა ამან მოაგებინა. მაგალითად, ბელგიელ **მირიამ ბლავიერთან** 3 გაფრთხილება ჰქონდა, თუმცა შეტევა არ შეუჩერებია და დასრულებამდე 10 წამით ადრე ვაზარი აუღო. ნახევარფინალშიც აგებდა ბრიტანელ **ჩელსი გილესისთან**, როცა მეტოქემ ვაზარიზეც დაადო და თან ბოჭავდა კიდეც. ამ ეპიზოდში მარიამმა შესაშური გამძლეობა თუ ჟინი გამოავლინა და შებოჭვის დასრულებამდე, სულ რაღაც 1 წამით ადრე, დაუძვრა. სამაგიეროდ, ამის შემდეგ მისდგა და ვაზარ-იუკო აუღო. ზოგადად, ჯანაშვილი ტექნიკური სტილით გამოირჩევა და ყველა შეხვედრაში გააკეთა გდებები. თანაც – მაღალი სინჯისა. მექსიკელ ჯენიფერ კრუზთან რეკორდიც კი დაამყარა – 4 წამში დააგდო ვაზარიზე. არადა, მექსიკელი სულაც არაა ხელწამოსაკრავი, ჯანაშვილმა ის ყველაზე სახიფათოდაც კი დაასახელა. უბრალოდ, მწვრთნელებმა და ფედერაციის ხელმძღვანელობამაც კარგად გაუშიფრეს მისი სტილი, თავად კი ეს კოზირი ჩინებულად გამოიყენა. გასაგებია, რომ ამათ ფონზე ქართველ ათლეტს ავსტრალიელმა **ტინკა ეშტონმა** ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია – ჩვენებურმა მასაც ვაზარ-იპონით მოუგო.

ჯანაშვილმა მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო ბევრად გამოცდილ კოსოვოელ **დისტრია კრასნიჩითან**, ვინც თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრიცაა. მარიამმა ეს წაგება ისე განიცადა, იტირა კიდეც და კვარცხლბეკზეც საპანაშვიდე განწყობით იდგა. თუმცა იმდენი ტრავმების, ოპერაციების და გაცდენილი პერიოდის შემდეგ ეს ვერცხლი ოქროს ტოლფასია. *„დისტრია კრასნიჩითან თითქოს ვიჩქარე – მე უფრო ამას ვაბრალებ, არ უნდა მეჩქარა... ცრემლებს ვერ ვიკავებდი, ძალიან დამწყდა გული. როცა შეგიძლია მოგება და მაინც აგებ, მაშინ ყველაზე მეტად მიჭირს ემოციებთან გამკლავება, თუმცა მერე რომ დავუკვირდი ამ ყველაფერს, მივხვდი, რომ არ უნდა მეტირა, მაგრამ რა ვქნა – მაინც დამწყდა გული და წამომცვივდა ცრემლები“* – განაცხადა თბილისში დაბრუნებულმა ჯანაშვილმა.

ფინალში წაგების მიუხედავად, ჯანაშვილმა მთავარ კითხვას მაინც დადებითი პასუხი გასცა – შეძლებდა თუ ვერა სალიცენზიო ტურნირებში ჩართვას? უკვე გადაწყვეტილია, რომ ისიც ჩაებმება რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის ბრძოლაში და ამიერიდან ჰოლანდიიდან გადმობირებულ **ესტერ სტამთან** (70) ერთად მასაც უნდა ვუქომაგოთ. ნოემბრის ბოლოს ჯერ ჩინურ ქინგდაოში, მერე კი კორეულ ჯეჯუში უკვე ქალთა დუეტს უნდა ვუგულშემატკივროთ – იმ შეჯიბრებებში საქართველოდან, სტამთან ერთად, უკვე ჯანაშვილიც იჭიდავებს.

აქვე გეტყვით, რომ ძიუდოისტთა ახალგაზრდულ ჩემპიონატში ჩვენგან გოგონების ტურნირში სხვა მონაწილე არ გვყავდა, ბიჭებმა კი აბუ დაბიში სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვეს. ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი მეორედ გახდა **ბექა ღვინიაშვილი** (90), ვინც წლეულს დუბლი შეასრულა ანუ ევროპის პირველობაც მოიგო (აღსანიშნავია, რომ გორელმა ფალავანმა ზედიზედ მესამედ მოიგო კონტინენტის პირველობა, რაც ევროპულ ძიუდოში პირველი შემთხვევაა). აბუ დაბიში ვერცხლი ევროპის კიდევ ერთმა წლევანდელმა გამარჯვებულმა **თამაზ კირაკოზაშვილმა** (73) მოიპოვა, ბრინჯაო – **ირაკლი კუპატაძემ** (55).

# საკლუბო ჩემპიონატი იზრდება

გაიმართა საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი ძიუდოში, რომელიც ჯერჯერობით კვლავაც მხოლოდ ჭაბუკებში ტარდება, რადგან უფროსებში სათანადო ოდენობის კლუბები არ გვყავს. ამჯერად მასში 2000-2001 წლებში დაბადებულები გამოდიოდნენ. წლევანდელი პირველობა მესამედ ჩატარდა, შარშანდელიდან მოყოლებული კი ის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტსმენის, ევროპის სამგზის და მსოფლიო ჩემპიონ **ავთანდილ ჭრიკიშვილის** სახელს ატარებს.

საინტერესოა, რომ სამივე ტურნირის ფინალში უცვლელი მეტოქეები – „შევარდენი-2005“ და „ლიდერი“ შეხვდნენ ერთმანეთს. წინა ორი ტურნირის მსგავსად, ჩემპიონი ამჯერადაც „შევარდენი-2005“ გახდა, რომელმაც ჯილდოდ 6 000 ლარი მიიღო. „ლიდერს“ 4 000 გადაეცა, მესამე ადგილზე გასულ კლუბებს – „ვიპ-ძიუდოს“ და „მებრძოლს“ – 2 000-2 000 ლარი. ორგანიზატორებს ფულადი პრემიის გარეშე არც მეხუთეზე დარჩენილი კლუბები – „ოლიმპი“ და „ალგეთი“ დაუტოვებიათ, რომლებიც 1 000-1 000 ლარით დასაჩუქრდნენ.

სასიამოვნოა, რომ თანდათან იზრდება საკლუბო ჩემპიონატის გეოგრაფიაც და მონაწილეთა რაოდენობაც – წლეულს მასში 36 კლუბი გამოვიდა ქვეყნის, თითქმის, ყველა რეგიონიდან. სწორედ ჭაბუკებზეა დამოკიდებული უფროსთა შორის ანალოგიური შეჯიბრების ჩატარებაც – თუ ამ ბავშვებს იქამდე შეინარჩუნებენ, მაშინ საკლუბო პირველობა დიდებშიც ჩატარდება.

*რუბრიკას უძღვება* ირაკლი თავაძე

## მასწავლებლის სამუშაო რვეული

**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

**4 ლარი**

## დამრიგებლის პორტფოლიო

**დამრიგებლის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

**6 ლარი**

## ინტერაქტიური მეთოდების კრებული

განახლებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

**6 ლარი**

*მასწავლებლის ბიბლიოთეკა*

## მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

**საინფორმაციო გზამკვლევი** აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

**3 ლარი**

## კათედრის გამგის პორტფოლიო

**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

**6 ლარი**

## მასწავლებლის კალენდარი

განახლებული

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განაკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

**5,50 ლარი**

**შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23**

# მიმდინარეობს ხელმოწერა

## მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

## მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
**ისტორიის მიღმა**
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

*თითო ტომის ფასი 14 ლარი*

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

**თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი**

*სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში*

*10 ლარი*

*თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი*




## მასწავლებლის ბიბლიოთეკა

**სიახლე**

პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევადისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

ახალი განათლება

წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

*თითოეულის ფასი – 7,30 ლარი*

## *თამაზ ვასაძე*
## *ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის*

*4 ლარი*

## *შოთა რუსთაველი*
## *ვეფხისტყაოსანი*
### *ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია*
*სერიიდან*
*ინტელექტი სკოლას*

*ფასი – 15 ლარი*

## *საყმაწვილო ენციკლოპედია*

*თითო ტომის ფასი 12 ლარი*

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა




*რა არის რა*

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

## თემატური კლასიკები

### *დაწყებითი კლასებისთვის*
*ფორმატი A2 (42X59.4 სმ)*

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. სოფლური ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის ბინადრები

2.50 ლარი

### *მაღალი კლასებისთვის*
*ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)*

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტაქნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

### *მწერალთა პორტრეტები* *(34X47 სმ)*

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

### *რეპროდუქციები*

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

**მითითებულია ერთი ცალის ფასი**

# ქართულ-ამერიკული შემოდგომა

2015 წლის ივლისიდან საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს „მშვიდობის კორპუსის“ ახალი მოხალისე ჰყავს – ქეით ო'ნეილი, ჩვენ მას ქეთევანს ვეძახით. იგი ძალიან აქტიურად ჩაერთო მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის საქმიანობაში და აქტივობებში. მთელი ზაფხულის განმავლობაში სხვადასხვა  თემატური დღის ბანაკების მუშაობაში ჩვენთან ერთად მონაწილეობდა. ეს დღესასწაულიც ერთად დავგეგმეთ და „ქართულ-ამერიკული შემოდგომა“ დავარქვით, რომელიც 2015 წლის 23 ოქტომბერს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ლიდერთა კლუბის და სხვადასხვა შემოქმედებითი კლუბების მონაწილეობით და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების დირექციების მხარდაჭერით, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში გაიმართა. ეს გახლდათ  ტრადიციული შემოდგომის დღესასწაულის – „ჰელოუინის“ დეტალებით („ჰელოუინი“ კელტური დღესასწაულია, რომელიც დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება, მათ შორის ამერიკაშიც, ტრადიციულად, შემოდგომის მიწურულს – 31 ოქტომბერს).

ჩვენი ღონისძიების სტუმარი გახლდათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სამსახურის წარმომადგენელი **ქეთი ხაბაზიშვილი**. ღონისძიებას უძღვებოდნენ საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ლიდერთა კლუბის წევრები – **მარიამ დურგლიშვილი** და **მარიამ ტიგინაშვილი**. მოსწავლეახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის მოსწავლეებმა – **ნოდარ ბროლაშვილმა** და **დიანა ქვლივიძემ** – წარმოადგინეს ნაწყვეტი რეზო ინანიშვილის მოთხრობიდან „დედაბოძი“ იმავდროულად, ღონისძიების თანაწამყვანების ამპლუაში მოგვევლინენ. მეტად საინტერესო იყო „ფუფალას“ გამოჩენა ცელქ „გოგლასთან“ ერთად (**მაკა** და **ივანე ზალიკანიანები**); საბავშვო თეატრის ყველაზე პატარა წევრმა, **ანასტასია ასლამაზიშვილმა**, რომელიც **ირინა ბაირამაშვილის** სტუდიის მოსწავლეცაა, შეასრულა სიმღერა „მერცხალი“; ყველა გააოცა თავისი ხელოვნებით პატარძეულის ქართულ-ფრანგული ლიცეუმის მოსწავლემ, თვითნასწავლმა ბალერინამ, **ნინო უსტიაშვილმა**. ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსი და სიმღერა... ძალიან საინტერესო ფოლკლორული სიმღერები შეასრულეს საგარეჯოს №2, პატარძეულის საჯარო და ბატონ **გივი ჭიაურელის** ფოლკლორული ჯგუფის მოსწავლეებმა, მხიარული, ცეკვა წარმოადგინეს საგარეჯოს მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა – **ეთერ ტეტიაშვილმა** და **მაკა მარტიაშვილმა**.

მთელი ღონისძიების განმავლობაში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ინგლისური ენის კლუბის მოსწავლეები, პედაგოგ **თამარ მათიაშვილთან** და „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე ქეით ო'ნეილთან ერთად, ახორციელებდნენ „სახალისო თამაშს“/„Trik or treat“. ეზოში, ხეებზე, გაბნეული იყო სიტყვები, ფრაზები, სურათები „ჰელოუინთან“ დაკავშირებული, ამ სიტყვების გამოყენებით ბავშვებს წინადადებები უნდა შეედგინათ. ვინც წინადადებას სწორად დააწყობდა ასაჩუქრებდნენ „ჰელოუინისთვის“ დამახასიათებელი ამერიკული ჟელატინით.  ძალიან საინტერესო იყო, როდესაც ჩვენმა მოხალისემ, ქეითმა და მისმა მეუღლემ, ქრისმა მოამზადეს სპეციალური ტკბილი სასმელი, რომელიც „ჰელოუინის“ დღისათვის მზადდება და პარკში მოსეირნეებსა და ღონისძიების მონაწილეებს გაუმასპინძლდნენ.

კონცერტის შემდეგ შემოქმედმა მოსწავლეებმა ერთად მოიყარეს თავი და ერთმანეთს თავიანთი შემოქმედება გააცნეს.

ღონისძიების განმავლობაში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეები და სხვა მსურველები პატარებს სახეებს უხატავდნენ. ეზოშივე მოწყობილ საშემოდგომო გამოფენაში მონაწილეობდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის, საგარეჯოს №1, №2, №3, №4, პატარძეულის, გიორგიწმინდის, თოხლიაურის საჯარო სკოლების მოსწავლეები. ლამაზად გაფორმებული კუთხეებით, მრავალფეროვანი და სახალისო პროგრამით წარმოაჩინეს თავი საგარეჯოს №1, №2, №3, გიორგიწმინდის, თოხლიაურისა და პატარძეულის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი გაერთიანება მადლობას უხდის მუზეუმის დირექციას და თანამშრომლებს გაწეული დახმარებისა და ღონისძიების წარმატებით ჩატარებისათვის. მადლობა ყველა მოსწავლეს, პედაგოგს, მშობელს, მონაწილე სკოლების დირექციებს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბს“ საშემოდგომო კომპლექსური ღონისძიების – „გარეჯული შემოდგომა“ წარმატებით ჩატარებისათვის.

**თამარ ჯაბადარი**
**ა(ა)იპ-საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი**

ნიგნის თაკრო

**გთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად. პირველი 10 სეზონთმოწერი თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 7 ლარად მიიღებს.**

**აქცია**



ქეთევან ტატიშვილი
ზურაბ ბერაია

ფიზიკა
თეორიული საკითხები
და ტესტები საატესტატო
გამოცდებისთვის
~~8~~ ლარი 7 ლარი

ნატა ახმეტელი
ბესიკ ლორთქიფანიძე
ნიკო მურღულია

ისტორია
თეორიული საკითხები და
ტესტები საატესტატო
გამოცდებისთვის
~~6~~ ლარი 5 ლარი

ისტორია
ტესტები ეროვნული
გამოცდისთვის
~~9~~ ლარი 8 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
**მარიკა ჩიქოვანი**

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge  axaliganatleba@gmail.com

**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >